www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 2012 წელი. | №3080 (173) | ფასი 50 თეთრი

ორი თვე არჩევნებამდე

დათო გამისონია

საქართველოს პრეზიდენტმა მიხელ სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნების თარიღად კონსტიტუციით დაშვებული ყველაზე ახლო რიცხვი აირჩია. კენჭისყრის დღედ პირველი ოქტომბერი, ორშაბათი გამოცხადდა, რომელიც, საარჩევნო კოდექსის მიხედვით, უქმე იქნება.

არჩევნების დღის გამოცხადება სხვადასხვა წინასაარჩევნო უფლება-მოვალეობების ამოქმედებასაც ნიშნავს. პოლიტიკურ სუბიექტებს საარჩევნო კამპანია დიდი ხანია, არაოფიციალურად დაწყებული აქვთ, თუმცა, როგორც ცესკო-ს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა "24 საათს" უთხრა, ეს კამპანია უკვე იურიდიულადაც ძალაშია. მისი თქმით, საარჩევნო სუბიექტებისთვის ასევე უფასო საეთერო დრო ამოქმედდება და საარჩევნო მიზნებისთვის პოლიტიკური პარტიების ანგარიშის გახსნაც შესაძლებელი იქნება.

როგორც ზურაბ ხარატიშვილი ამბობს, ცესკო-ს საკმარისი დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსები ჰქონდა, რათა არჩევნებისთვის კარგად მომზადებულიყო. რაც შეეხება უახლოეს პროცედურულ საკითხს, ზურაბ ხარატიშვილის თქმით, ეს არის პარტიების რეგისტრაცია. იმ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა, რომლებსაც პარლამენტში დეპუტატები ჰყავთ, 5 აგვისტოს 18:00 საათამდე არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ცესკო-ში განაცხადი უნდა შეიტანონ. **"ამით პარტიების რეგისტრაციის პროცედურა დასრულდება,** - ამბობს ხარატიშვილი, - **მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელ კანდიდატებსაც აღნიშნული ვადა აქვთ განაცხადის შემოსატანად. თუმცა, ისინი იმ ოლქებში რეგისტრირდებიან, სადაც კენჭს იყრიან."**

საპარლამენტო არჩევნებთან ერთად პირველ ოქტომბერს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც ჩატარდება. **"ყოველთვის რჩება იმის განცდა, თითქოს რაღაცის გაკეთება უკეთესად შეიძლებოდა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მზად არის როგორც საპარლამენტო, ასევე აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის,"** - ამბობს ხარატიშვილი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ოპოზიციური კომისიის ოპოზიცია

დათო გამისონია

ამომრჩეველთა სიების გადამოწმების უზრუნველყოფის კომისიას ოპონენტები იმთავითვე გაუჩნდა. "ამომრჩეველთა ლიგა" ისევდაც ოპოზიციურ კომისიას ოპოზიციაში ჩაუდგა.

ამომრჩეველთა სიების გადამოწმების უზრუნლყოფის კომისიის თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ, 1 აგვისტოს მდგომარეობით, ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემების პრეზენტაცია გამართა.

კაციტაძის თქმით, ამომრჩეველთა ძირითადი სია 3 385 844 პირს აერთიანებს. გარდა ამისა, ამომრჩეველთა ერთიან სიაში მისამართის არმქონე 52 648 ამომრჩეველია შესული. 188 995 რეგისტრაციის მისამართიდან არის მოხსნილი. 42 390 ამომრჩევლის მისამართი გაურკვეველია.

კომისიამ სტატუსების მიხედვით სიის კლასიფიკაციაც მოახდინა. როგორც მამუკა კაციტაძე აღნიშნავს, 1 აგვისტოს მონაცემებში პროექტ "კარდაკარის" შედეგებთან შედარებით, უცხოეთში გასულ და მიწერილ ამომრჩეველთა რაოდენობა გაზრდილია.

რაც შეეხება ერთიან სიაში სტატუსების მიხედვით გადანაწილებას, 310 113 ამომრჩეველი საზღვარგარეთ იმყოფება; 55 277 სამხედრო სამსახურშია; 207 055 იძულებით გადაადგილებული პირია; 1295 პატიმარია, რომელიც ხმის უფლებით სარგებლობს; 19 3465 ამომრჩეველს რეგისტრაცია გაუქმებული აქვს.

მამუკა კაციტაძის თქმით, მხოლოდ ერთი მონაცემის გადამოწმება ვერ მოხერხდა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ და ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში იმყოფებიან, ვერ დაზუსტდა. "სამოქალაქეო რეესტრმა ამის შესახებ ინფორმაცია ვერ მოგვაწოდა," - აღნიშნავს კაციტაძე.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ირანს დიალოგის განახლების იმედი აქვს

დასავლეთი კი სანქციებს ამკაცრებს

ალი-აკბარ სალეჰი

თამთა კახაძე

ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აკბარ სალეჰიმ განაცხადა, რომ ირანი თავისი ბირთვული პროგრამის შესახებ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან კიდევ ელის მოლაპარაკებების გამართვას. "24 საათის" მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ ბოლო შეხვედრა, რომელიც სტამბულში გაიმართა, რაიმე ხელშესახები შეთანხმების გარეშე დასრულდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6589⇓
1 ევრო	2.0381⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6031⇓
1 თურქული ლირა	0.9236⇓
100 რუსული რუბლი	5.1509⇓

თბილისი	31°C - 23°C
ქუთაისი	36°C - 24°C
თელავი	32°C - 23°C
ზუგდიდი	35°C - 21°C
ბათუმი	29°C - 23°C

ნავთობი	2.87	+0.02	+0.80%
გაზი	3.17	-0.04	-1.23%
ოქრო	1,602.30	-8.20	-0.51%
ხორბალი	863.50	-24.75	-2.87%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

TBC BANK
FM 102.4
BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

ლონდონში სიცვარიელეს ებრძვიან

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეთა რაოდენობისა და სპორტის სახეობათა სიუხვის წყალობით, დღის განმავლობაში რამე რომ არ მოხდეს საინტერესო, წარმოუდგენელია. მსოფლიო თუ ოლიმპიურ რეკორდებზე არაა ლაპარაკი, არც დოპინგ სკანდალებზე. "ივნინგ სტანდარტი" ფაქტობრივად ყოველდღე წერს ცარიელ ტრიბუნებზე და იქვე ორანიზატორებისკენ იშვერენ თითს - ბილეთები არასწორად გაანაწილესო.

საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასზე კომენტარი გააკეთა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა, რომელიც დიდ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონთან ერთად რამდენჯერმე გამოჩნდა ტრიბუნებზე. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის რომელიმე ქალაქი ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს, მსგავს შეცდომებს არ დავუშვებთო. ამ განცხადებით საფრანგეთის პირველმა პირმა "ლონდონი 2012"-ის საორგანიზაციო კომიტეტს (LOCOG) ფაქტობრივად მიუთითა დაშვებულ შეცდომებზე. ამასთან, ოლანდმა ისაუბრა საფრანგეთის სამომავლო გეგმებზეც, რომლის მიხედვით ქვეყნის პირველი პირი საფრანგეთს მოიაზრებს ოლიმპიური თამაშების ახლო მომავლის მასპინძლად. სავარაუდოდ კი ასახელებს 2024 წელს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

იაპონური კულტურის დღეები გრძელდება

კინოთეატრი "რუსთაველი" იაპონურ კინოს უმასპინძლობს

5

კადრი ფილმიდან "მოგზაურობა ჰარუსთან ერთად".

დიდი იმედგასცრუება

6

ივანიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

"უკანასკნელი შეტყობინება დავის შესახებ," - ასეთი სახელწოდება აქვს იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც "ქრთული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის სახელით, საერთაშორისო იურიდიულმა კომპანია "სკადენმა" მოამზადა და რომლის ვაშინგტონისა და ლონდონის ოფისების წარმომადგენლები საქართველოში ორი კვირის წინ იმყოფებოდნენ. ბიძინა ივანიშვილი საინვესტიციო უფლების დარღვევის გამო საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ მსოფლიო ბანკთან არსებულ საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრში იწყებს დავას.

პროცედურის შესაბამისად, მომზადებული დოკუმენტი საქართველოს მთავრობას უკვე წარედგინა, მოგვიანებით კი, დოკუმენტი დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრს გადაეცემა.

"ქართული ოცნების" პრესსპიკერის მაია ფანჯიკიძის განმარტებით, ივანიშვილის უფლებების დასაცავად შეირჩა საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტი - მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც ვაშინგტონში მდებარეობს.

როგორც ცნობილი გახდა, საერთაშორისო იურიდიულ ფირმასთან ერთად, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს "ქართული ოცნების" მაჟორიტარი კანდიდატი, ადვოკატი არჩილ კბილაშვილიც დაიცავს.

"ყველა ის საინვესტიციო უფლება, რომელიც შეილახა გასული წლის ოქტომბრიდან აღნუსხულია და ცენტრს განსახილველად წარედგინება. ეს არის "ბანკ ქართუსთან" დაკავშირებით უკანონო ქმედებები, მათ შორის - კანონის შეცვლა, რომლის საფუძველზე, "ბანკმა ქართუმ" 119 მილიონი ლარის ზარალი ნახა. კანონის შეცვლა შეეხებოდა იპოთეკისა და გირავნობით უზრუნველყოფილი ქონებების გაუფასურებას. ეს შეეხებოდა ასევე ბანკის უკანონო დაჯარიმებას, თითქოსდა იმ ბონუსებს, რომელიც მან თანამშრომლებზე გასცა პოლიტიკურად მოტივაციის გამო," - განაცხადა კბილაშვილმა.

მისივე თქმით, დოკუმენტში საუბარია ასევე იმ უკანონო რეიდზე, რომელიც შს სამინისტრომ მოაწყო 2011 წლის ოქტომბერში, როდესაც ფულის გათეთრების ბრალდებით საინკასაციო მანქანა დააკავეს.

"დავა შეეხება ასევე ძალოვანი სტრუქტურების ზეწოლით ბანკიდან კლიენტების გადინებას. 2011 წლის ოქტომბრის ბოლოს, აღნიშნულის გამო ბანკიდან 45 მილიონი ლარი გავიდა. დავა ეხება ყადაღას, რომელიც "პროგრესბანკში" ბიძინა ივანიშვილის წილს დაედო. ეს დარღვევების ნუსხა ასახულია იმ შეტყობინებაში, რომელიც მთავრობას გაეგზავნა," - აცხადებს არჩილ კბილაშვილი. ადვოკატის მტკიცებით, იმ ზარალს, რომელიც თანხობრივად ბიძინა ივანიშვილს მიადგა, პროცენტი დაერიცხება და ხელისუფლების მხრიდან ანაზღაურებას დაექვემდებარება არა მხოლოდ უშუალოდ ის ზიანი, რაც ივანიშვილს მიადგა, არამედ ამ თანხებზე დარიცხული პროცენტი, რომელიც ბანკთა შორის საერთაშორისო ბირჟის მონაცემებით გაირკვევა.

რაც შეეხება ჯარიმის სახით ივანიშვილის მიერ გადახდილ 80 მლნ ლარს. ეს თანხა დავის ნუსხაში არ შედის. ადვოკატის განცხადებით, ივანიშვილმა ეს თანხა არა ჯარიმის სახით, არამედ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გადაიხადა.

მთავრობა იმერეთში გავიდა

მაგდა ლეკიაშვილი

პრემიერ-მინისტრის დავალებით, მინისტრთა კაბინეტის წევრები იმერეთში კვირის ბოლომდე დარჩებიან.

კახეთში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება ჯერ არ დასრულებულა. სტიქიის ზონა უკვე დატოვეს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა. მათთან ერთად დედაქალაქში დაბრუნდნენ მინისტრთა კაბინეტის წევრები. გუშინ კი ისინი ქუთაისში ჩავიდნენ. მიმდინარე კვირის ბოლომდე მთავრობის წევრები იმერეთში სხვადასხვა სოფლებს ესტუმრებიან და მოსახლეობას მთავრობის სამოქმედო გეგმას გააცნობენ. პრემიერ ვანო მერაბიშვილის თქმით, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რა საკითხების მოგვარებას შეეცდება ხელისუფლება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში და რა იქნება მათი პრიორიტეტები. დასაქმება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სოფლის მეურნეობის განვითარება - ასეთია საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის მთავარი მიმართულებები.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერმა განაცხადა, რომ ჯანდაცვის ministrთან ერთად იმერეთის რამდენიმე სოფელში საავადმყოფოს მშენებლობის დაწყებას დაესწრება. მისივე თქმით, ახალი საავადმყოფოები მაღალი სტანდარტის ტექნოლოგიებით აღიჭურვება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება. პრემიერის გეგმებში შედის, ასევე, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების საწარმოების მონახულება.

"ვაპირებთ რამდენიმე ირიგაციის პროექტის განხორციელებას. გლეხებს უნდა მოვუყვეთ, რა გეგმები გვაქვს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის მხრივ. გლეხებმა საკუთარი პროდუქცია უცხოეთში უნდა გაიტანონ, რათა საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე სტაბილური ფასები იყოს. გლეხებმა, ასევე, შემოსავალი უნდა მიიღონ და სტაბილური გასაღების ბაზა ჰქონდეთ, რათა მათი ბიზნესი დაცული იყოს," - ამბობს ვანო მერაბიშვილი. მისივე განცხადებით, იმერეთში "კარდაკარ" სიარული უკვე დაწყებულია. დასაქმების სამინისტროს რეგისტრატორები თითოეულ ოჯახში აღწერენ, რამდენია დასაქმებული, თვითდასაქმებული და უმუშევარი. პრემიერი პირობას დებს, რომ მთავრობა, შეძლებისდაგვარად, ყველა უმუშევარს დაეხმარება სასურველი სამსახურის მოძიებაში.

პრემიერისგან დავალება მიიღო განათლების მინისტრმა ხატია დეკანოიძემაც. ვანო მერაბიშვილის თქმით, განათლების უწყების ხელმძღვანელი იმ სკოლებს ჩამოივლის, რომლებსაც რეაბილიტაცია სჭირდება. იმერეთის რეგიონში რამდენიმე სკოლის განახლება უკვე დაწყებულია.

"თითოეულ სოფელსა და რაიონში არსებული პრობლემების გარკვევას ვაპირებთ. ამის შემდეგ გვექნება ზუსტი ინფორმაცია, რა კორექტივები შევიტანოთ და როგორ დავგეგმოთ ჩვენი ბიუჯეტი," - განაცხადა მერაბიშვილმა.

გუშინვე პრემიერი ხონის რაიონის სოფელ ივანდიდს ესტუმრა და სარწყავი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. ხონი-სამტრედიის მაგისტრალური სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშოები 20 ივლისს დაიწყო. არხი 1993 წლის შემდეგ არ გაწმენდილა, რის გამოც სამტრედიის რაიონის მოსახლეობას ამ დრომდე სარწყავი წყლის პრობლემა ჰქონდა. ოქტომბერში, 62-კილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენის შემდეგ, წყლის მიწოდება სამტრედიის 7 სოფელში განახლდება.

ქუთაისში კოპიტნარის აეროპორტი დაათვალიერა ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ. მშენებლობის დასრულების შემდეგ პირველი რეისი 27 სექტემბერს შესრულდება. აეროპორტში, ძირითადად, ადგილობრივები დასაქმდებიან, რომლებიც გადამზადების სპეციალურ კურსს უკვე გადიან. ქობალიას თქმით, აეროპორტის მშენებლობა რეგიონის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

"ამ მშენებლობაზე 100 ადამიანი უკვე დასაქმდა და მნიშვნელოვანია, რომ ასევე იმერეთის მკვიდრია - უმეტესად ქუთაისიდან და სამტრედიიდან. ეს აეროპორტი ბიზნესისთვის ახალ საშუალებებს შექმნის," - აღნიშნავს ეკონომიკის მინისტრი.

კოპიტნარის აეროპორტში რკინის ძირითადი კონსტრუქციის აგება უკვე დასრულებულია. ახლა მიმდინარეობს გადახურვა და ფასადის დამუშავება - შემინვა. ასევე, შიდა ელექტოსამუშაოები - გათბობა-გაციების სისტემების დამონტაჟება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამაც. მინისტრი ბაგრატის ტაძარს ეწვია. აქ რეკონსტრუქცია დასასრულს უახლოვდება.

IFC-ს რეკომენდაციები საქართველოში სურსათის უვნებლობის გაუმჯობესებისთვის

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა სურსათის უვნებლობის ახალი ქართულენოვანი სახელმძღვანელო გამოსცა, რომელიც სურსათის მწარმოებლებს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემების გაუმჯობესებაში დაეხმარება. ეს კი, თავის მხრივ, გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და ხელს შეუწყობს მათ წვდომას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

IFC-ს საქართველოს წარმომადგენლობაში აღნიშნავენ, რომ სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო უვნებელი პროდუქტების წარმოებისთვის კონკრეტული მითითებებით უზრუნველყოფს სურსათის წარმოებაში მონაწილე ყველა რგოლს - მათ შორის კომპანიების მენეჯერებსა და სახელმწიფო ინსპექტორებს. IFC-ს სურსათის უვნებლობის გაუმჯობესების პროექტმა ეს სახელმძღვანელო საქართველოში ადგილობრივი ბაზრის თავისებურებებს მოარგო და მისი ელექტრონული ვერსია ქართულ ენაზე გამოსცა. მათივე განცხადებით, "სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა საერთო პასუხისმგებლობაა და ამ პროცესში ჩართული სხვადასხვა რგოლების ურთიერთთანამშრომლობას მოითხოვს. IFC-ს სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო კომპანიებს არა მარტო სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გაუმჯობესებაში დაეხმარება, არამედ ხელს შეუწყობს გაყიდვების ზრდას და ექსპორტის განვითარებას, რასაც შედეგად სამუშაო ადგილების შექმნა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მოჰყვება."

სახელმძღვანელო პრაქტიკულ რჩევებს სთავაზობს საწარმოებს, კონსულტანტებს, მარეგულირებელ ორგანოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებსა და მეცნიერებს. იგი კომპანიებს სისტემაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენასა და სურსათის უვნებლობის მართვის ეფექტიანი პრაქტიკის დანერგვაში ეხმარება. სახელმძღვანელომ წარმატებით გაიარა ტესტირება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინაში, ბელარუსსა და საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ IFC-ს სურსათის უვნებლობის გაუმჯობესების პროექტი საქართველოში ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს და BP-სა და მისი ნავთობის და გაზის პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. IFC-ს ინვესტიციებმა საქართველოში კი თითქმის 605 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა სხვადასხვა სექტორის 40 პროექტში. გარდა ამისა, IFC თავისი საკონსულტაციო პროექტის ფარგლებში მუშაობს საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების მიმართულებით, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. ორგანიზაცია საკონსულტაციო პროექტების მეშვეობით კომპანიებს სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლებაში ეხმარება და მუშაობს ბანკებთან მათი რისკის მართვის პრაქტიკის განმტკიცების მიზნით.

IFC-ს რეგიონული მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში თომას ლუბეკი აღნიშნავს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკასა თუ დასაქმების საქმეში და მას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს ზრდის, ექსპორტისა და ინვესტიციების თვალსაზრისით. ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კუთხით საქართველოში განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს ამ სექტორის წინსვლას. თუმცა, სოფლის მეურნეობის დარგის ზრდის ტემპი ქვეყნის მასშტაბით საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, კვლავაც არასათანადოდაა ათვისებული საქართველოს აგრობიზნესის პოტენციალი.

სოფლის მეურნეობა IFC-სთვის საქართველოში, ისევე როგორც მთელს რეგიონში, სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია. აგრობიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვან სფეროს კი სურსათის უვნებლობა წარმოადგენს, რომლის დონის ამაღლებაც ქვეყანაში IFC-ს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია: ის ქმნის შესაძლებლობებს ეკონომიკის ძირითადი დარგისთვის, ხელს უწყობს ახალ ბაზრებზე წვდომას და უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის უვნებელი და უკეთესი ხარისხის პროდუქტების წარმოებას.

საქართველოში სურსათის უვნებლობის გაუმჯობესების პროექტის საშუალებით IFC ცდილობს, ცოდნის ამაღლების ხელშეწყობით ადგილობრივი სურსათის მწარმოებლების კონკურენტუნარიანობა გაზარდოს და სურსათის უვნებლობის მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა დანერგოს.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ორი თვე არჩევნებამდე

პირველი გვერდიდან

მისი განმარტებით, ამ ორი არჩევნების ორგანიზებისას განსხვავება ის არის, რომ ცესკო-ში საპარლამენტო არჩევნების შედეგები მოიყრის თავს, ხოლო აჭარის უმაღლესი საბჭოს შედეგები ადგილზე დაითვლება. **"პარტიების რეგისტრაციის პროცედურები აბსოლუტურად ერთნაირია,"** - აღნიშნავს ხარატიშვილი.

არჩევნების თარიღის გამოცხადება ტელეარხებზეც ახდენს გავლენას. "მასთ ქერის" და "მასთ ოფერის" პრინციპები არჩევნების დღემდე იმოქმედებს. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებმა და "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" გარკვეული პირობები უნდა დაიცვან. ისინი ვალდებულები არიან, მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისთვის საეთერო დროის გამოყოფის შესახებ საჯაროდ გამოაცხადონ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია, რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი და გაწეული მომსახურება.

პოლიტიკური შეფასებები

საკანონმდებლო რეგულაციებთან ერთად, არჩევნების თარიღის მიმართ მთავარ ინტერესს სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულება იწვევს.

მედიას მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააცნო. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ გამოთქვამს რწმენას, რომ ეს არჩევნები და კამპანია სამაგალითო იქნება. მანჯგალაძემ ის ნაბიჯები ჩამოთვალა, რომლებიც, მისი თქმით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა. **"საქართველოს ხელისუფლებამ გრძელვადიანი საერთაშორისო დამკვირვებლები მოიწვია; ამომრჩეველთა სია გადამოწმდა; ეროვნული უშიშროების საბჭოსთან უწყებათაშორისი კომისია ჩამოყალიბდა,"** - ამბობს მანჯგალაძე.

არჩევნების თარიღი კოალიცია "ქართული ოცნებისთვისაც" მისაღებია. კოალიციის პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, არჩევნები რომელ რიცხვშიც არ უნდა დანიშნულიყო, იმ დღეს დაამარცხებს "ქართული ოცნება" ხელისუფლებას.

როგორც ფანჯიკიძე ამბობს, "ქართულმა ოცნებამ" წინასაარჩევნო კამპანია დიდი ხანია, დაიწყო, გახსნა ოფისები და, ფაქტობრივად, ყველა მაჟორიტარი კანდიდატი წარადგინა. **"ჩვენი გათვლით, არჩევნები შეიძლებოდა, ოქტომბრის პირველ რიცხვებში დანიშნულიყო,"** - აღნიშნავს ფანჯიკიძე.

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წევრი ლევან ვეფხვაძე კი მიიჩნევს, რომ საპარლამენტო არჩევნების პირველ ოქტომბერს ჩატარება დიდი ქალაქების მაჟორიტარობის კანდიდატებს გარკვეულ უხერხულობას უქმნის. **"აგვისტოს განმავლობაში ამომრჩევლები ქალაქებში პრაქტიკულად არ იმყოფებიან. სოფლებში, უცხოეთში, ზღვისპირა ზონაში გადიან. დიდ ქალაქებში მაჟორიტარობის კანდიდატებს კამპანიისთვის აგვისტო დაკარგული აქვთ. მათ, ფაქტობრივად, სექტემბრის ბოლო ორი კვირა რჩებათ. რეალურად, თბილისი 10-15 სექტემბრის შემდეგ იტვირთება,"** - შენიშნავს ვეფხვაძე.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნებოდა, საპარლამენტო არჩევნები ოქტომბრის ბოლოს დანიშნულიყო. მისი აზრითაც, მთავარი სირთულეები დიდი ქალაქებში იქმნება. **"ზაფხულში საარჩევნო კამპანიის წარმართვა ძნელია. მოსახლეობა თბილისიდან, ასევე დიდი ქალაქებიდან დასასვენებლად ქალაქგარეთ არის გასული,** - ამბობს გამყრელიძე, - **გასაგებია, ხელისუფლებას ხელს არ აძლევს, რომ საარჩევნო კამპანიის წარმართვა ნორმალურად მოვასწროთ. პრაქტიკულად სექტემბრის შუამდე თბილისში არავინ არის, დიდი ქალაქებიც დაცლილია."**

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წევრ გურამ ჩახვაძეს არჩევნების პირველ ოქტომბერს დანიშვნა არ უკვირს. მისი თქმით, ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ იცოდა, რომ საპარლამენტო არჩევნების თარიღად ოქტომბრის დასაწყისი გამოცხადდებოდა. **"ჩვენ არჩევნებისთვის კარგა ხანია, ვემზადებით და ყველაფერი დასახული გეგმის შესაბამისად მიდის,"** - აღნიშნა ჩახვაძემ და დასძინა, რომ იმ პარტიებს, რომელთაც პარლამენტში შესვლა სურთ, ზაფხულმა ხელი ვერ უნდა შეუშალოს.

ოპოზიციური კომისიის ოპოზიცია

პირველი გვერდიდან

კომისია მოქალაქეებიდან 1 სექტემბრამდე მიღებული შენიშვნების მიხედვით, სიაში შესწორებებს 15 სექტემბრამდე შეიტანს.

მამუკა კაციტაძემ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ელექტრონული ვერსია ცესკო-ს თავმჯდომარეს ზურაბ ხარატიშვილს გადასცა.

"მაქსიმუმ 2 დღეში ცესკო სიის საჯარო ვერსიას მოამზადებს. პირადი ნომრები დაიფარება. შემდეგ კი, ამომრჩეველთა ერთიანი სია ნებისმიერი მსურველისთვის საჯარო გახდება," - ამბობს კაციტაძე.

ზურაბ ხარატიშვილის თქმით, ცესკო პირველ რიგში სიას უბნებად დაყოფს. გარდა ამისა, როგორც ხარატიშვილი ამბობს, თუ არჩევნებამდე სიაში რაიმე ცვლილების შეტანა გახდება საჭირო, ცესკო ამას კომისიის ნებართვით გააკეთებს. "ზუსტად ეს სიები არჩევნების დღეს მაგიდაზე დაიდება," - ამბობს ხარატიშვილი.

თავის მხროვ, მონაცემების შეგროვება დაასრულა "ამომრჩეველთა ლიგამ".

ლიგის თავმჯდომარის კოკა გუნცაძის თქმით, მათი კომისიის მონაცემებში უზუსტობა თბილისში 21% იყო, ზუგდიდში კი - 17%.

ლიგის მონაცემებით, თბილისში, 0,69% გარდაცვლილია, უცხოეთში 5,63% იმყოფება, მისამართზე არაა 13,34%, ხოლო სიაში არაა ამომრჩეველთა 1,23%.

ზუგდიდის სიებში ამომრჩევლების 0,84% გარდაცვლილია, 2,11% უცხოეთში იმყოფება, მისამართზე არაა 12,97%, სიაში არაა 1,23%.

ამასთან, გუნცაძე ამბობს, რომ ზუგდიდის 12 საარჩევნო ოლქში ხელისუფლების მხრიდან დაშინების და შანტაჟის გამო მათმა კოორდინატორებმა ვერ შეაღწიეს.

გუნცაძე სიების დაზუსტების კომისიისგან, სიების საჯაროდ გამოქვეყნებასა და საზოგადოებისთვის მონაცემების კონკრეტულად გაცნობას მოითხოვს. ამასთან, გუნცაძე მოითხოვს, სიების დაზუსტების კომისიამ სია გამოაქვეყნოს თბილისსა და ზუგდიდში, ანუ იქ, სადაც "ამომრჩეველთა ლიგამ" ალტერნატიული კარდაკარი ჩაატარა.

თუ მოთხოვნები არ შესრულდება, გუნცაძე ფალსიფიცირების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კამპანიის დაწყებას გეგმავს, მაგრამ მეთოდებს არ აზუსტებს.

ლიგამ აღწერა მხოლოდ თბილისსა და ზუგდიდში ჩაატარა. გუნცაძე ამბობს, რომ აღწერილი ამომრჩეველი სრული სიის, დაახლოებით, 35%-ია და ეს რაოდენობა საკმარისია, გამოჩნდეს სურათი, რამდენად კარგად ჩატარდა "სიების დაზუსტების კომისიის" კარდაკარი.

თავის მხრივ, კოკა გუნცაძეს პასუხობს მამუკა კაციტაძე. მამუკა კაციტაძემ "24 საათს" უთხრა, რომ კომისიის გადამოწმებული სიები ჯერ არ გამოქვეყნებულა და მას ვერავინ გადაამოწმებდა. ძველ სიებში აღმოჩენილი ცდომილებები კი, კაციტაძის თქმით, კომისიამ უკვე შეასწორა.

"ახლა მათი მხრიდან ინფორმაციის მიღებას ველოდებით, რა ცდომილებები აღმოაჩინეს. გავარკვევთ, მათ მიერ აღმოჩენილ ცდომილებებში ჩვენ რამდენი გვაქვს აღმოჩენილი, რომელიც ფაქტობრივად უკვე ცდომილებას აღარ წარმოადგენს," - ამბობს მამუკა კაციტაძე.

როგორც კაციტაძე ამბობს, რიცხვებით მანიპულირების თავიდან ასაცილებლად, კომისიას კონკრეტული დოკუმენტები სჭირდება, რომლებიც "ამომრჩეველთა ლიგის" მხრიდან ცდომილებებს ამხელს და კომისია მას აღმოფხვრის, თუკი საერთოდ დარჩენილია. **"თუმცა, მიმაჩნია, რომ მათი აღმოჩენილი ცდომილებები მთლიანად აღმოფხვრილი გვაქვს,"** - დარწმუნებულია კაციტაძე.

"თბილისი და ზუგდიდი გასაგებია, მაგრამ "ამომრჩეველთა ლიგა" დანარჩენ საქართველოს რას უპირებს? რასაც ამომრჩეველთა ლიგა აკეთებს, "კარდაკარი" არ არის, არამედ დაბალი კვალიფიკაციის სოციოლოგიური კვლევის მცდელობაა," - დასძენს კაციტაძე.

"ფაქტების კონსტატაცია" აღსრულების ეროვნულ ბიუროში

აღსრულების ეროვნულ ბიუროში ახალი სერვისი, "ფაქტების კონსტატაცია" ამოქმედდა. ფაქტების კონსტატაციის სერვისის ძირითადი მიზანი ფაქტის დადგენა და მომხდარზე ოქმის შედგენაა.

მოქალაქის მიერ ფაქტის დადასტურების თხოვნით მიმართვის შემდეგ, აღმასრულებელი ადგილზე დააფიქსირებს კონკრეტულ სიტუაციას - ფაქტს. ზედმიწევნით ზუსტად აღწერს ფაქტებს ოქმში, გამოიყენებს ტექნიკურ მოწყობილობებს, აიღებს ნიმუშებს, როდესაც ეს აუცილებელია და ყველა მიღებულ მასალას დაურთავს ოქმს, რომელიც დაამტკიცებს ფაქტის არსებობას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად.

ბიუროში მიიჩნევენ, რომ "ფაქტების კონსტატაციის" სერვისი მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლო პროცესების ხანგრძლივობას მტკიცების სტადიის ხარჯზე. ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერებას და მოახდენს უფლებათა წინასწარგანზრახული დარღვევის პრევენციას.

ფაქტების კონსტატაციის სერვისით მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს ქონების გაქირავებამდე მისი მდგომარეობის ასახვისათვის, სამეზობლო დავებისას - წყლის ჩამოშვებისას, საერთო სარგებლობის კიბით, სხვენით ან გზით სარგებლობის ხელისშეშლის შემთხვევაში, ჩუქების, გაყრის, ქონების გაყოფის, მემკვიდრეობით მიღების დროს ქონების სრული ინვენტარიზაციისათვის და ა.შ.

ახალი სერვისით სარგებლობა მოსახლეობას საქართველოს ყველა რეგიონში დღეიდან უკვე შესაძლებელია.

ივანიშვილი ხელისუფლებას უჩივის

ბიძინა ივანიშვილი "ქართუ ბანკის" მიმართ გატარებული ღონისძიებების გამო ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო არბიტრაჟში ჩივის. ამის შესახებ "ქართული ოცნების" პრესსპიკერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მაია ფანჯიკიძის განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის დაცვა საერთაშორისო იურიდიულმა კომპანიამ "სკადენმა" ითავა. მისივე თქმით, "სკადენმა" ივანიშვილის სახელით მოამზადა იურიდიული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტსა და იუსტიციის სამინისტროს გადაეგზავნათ. მათ მიეცათ ორკვირიანი ვადა იმისთვის, რომ მოხდეს შეთანხმება ბიძინა ივანიშვილისთვის ზარალის ასანაზღაურებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეს მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრში, ვაშინგტონში განიხილავენ.

"ქართულ ოცნებაში" არ აკონკრეტებენ, რა თანხას ითხოვს ივანიშვილი საქართველოს სახელმწიფოსგან, თუმცა ორი კვირის წინ მისი უცხოელი ადვოკატი აცხადებდა, რომ საუბარია ასობით მილიონ დოლარზე.

დავით დარჩიაშვილი წინასაარჩევნოდ პროვოკაციებს არ გამორიცხავს

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი რუსეთის მხრიდან წინასაარჩევნოდ პროვოკაციებს არ გამორიცხავს.

ამის შესახებ დარჩიაშვილმა ჟურნალისტებს ცხინვალიდან ბავშვებისა და ქალების გაყვანის და როკის გვირაბთან ტექნიკის გადაადგილების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა.

მისი თქმით, კონკრეტულად გადაადგილებებზე არანაირი ინფორმაცია არა აქვს, ვერც დაადასტურებს რამეს და ვერც უარყოფს, თუმცა მიაჩნია, რომ რუსეთის მხრიდან პროვოკაციები გამორიცხული არ არის.

დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი პროვოკაციები მოსალოდნელია განსაკუთრებით საარჩევნო პროცესში, რომლის მიზანიც საქართველოში ზოგადად დაძაბულობის შექმნა იქნება. კონკრეტულად პროვოკაციებში კი დარჩიაშვილმა არჩევნების ჩაშლის მიზნით საქართველოში ემოციების გამოწვევა, მედიასაშუალებებით აჟიოტაჟი და ასევე, უშუალოდ სამხედრო პროვოკაციაც დაასახელა.

დეპუტატის თქმით, ოკუპირებულ ტეირიტორიებზე საერთაშორისო სამართალი არ მოქმედებს და გამორიცხული არაფერია. თუმცა, დავით დარჩიაშვილი ასევე დარწმუნებულია, რომ რუსეთის ყველა მცდელობის შედეგი მარცხი იქნება.

"შანსი, რომ რუსეთმა რამეს მიაღწიოს, ნულის ტოლია," - განაცხადა დარჩიაშვილმა და დასძინა, რომ საქართველოში არჩევნები ჩატარდება, ქვეყანა იქნება დამოუკიდებელი და რუსული მიზნები, საქართველო თავის სატელიტად გადააქციოს, არ ასრულდება.

საქართველომ კონტრტერორიზმის გლობალურ ძალისხმევას მხარი დაუჭირა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მსოფლიოში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ 2011 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი.

დოკუმენტის მიხედვით, 2011 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა კონტრტერორიზმის გლობალურ ძალისხმევას, რომელიც საშინაო და საგარეო ტერორისტული საფრთხეების პრევენციას ისახავდა მიზნად. ანგარიშშივე ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე აფეთქების პრევენცია მოახერხა, რომლებიც, როგორც ჩანს, სეპარატისტული რეგიონებიდან აღმოცენდა. ქართულმა მხარემ მომხდარში რუსული კავშირები დაადანაშაულა.

"საქართველოს მთავრობის კონტროლის ნაკლებობამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, შეზღუდა მისი შესაძლებლობები ამ რეგიონებში კონტრტერორისტულ ქმედებების მიმართ და რუსეთთან საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით," - აღნიშნულია ანგარიშში.

დოკუმენტის მიხედვით, 2011 წელს საქართველოში ტერორიზმთან დაკავშირებული ინციდენტები ოთხი თვის განმავლობაში, მარტიდან ივნისამდე დაფიქსირდა. არავინ დაშავებულა. ინციდენტების გამო რამდენიმე პირი დააკავეს, მათ შორის ორი ადამიანი, რომლებიც, რადიოაქტიური ნივთიერების "ირიდიუმ 192"-ის ტრანსპორტირებას ცდილობდნენ.

უგულავამ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს "მეეზოვის დღე" მიულოცა

თბილისის მერმა დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს "მეეზოვის დღე" მიულოცა. დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, გიგი უგულავას ინიციატივით, "მეეზოვის დღე" უკვე მეშვიდე წელია, აღინიშნება.

"ქალაქის სისუფთავეზე ყოველდღიურად დასუფთავების სამსახურის 3 300 თანამშრომელი ზრუნავს. თითოეული მათგანის დაუღალავი შრომისა და განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თბილისი დღეს ბევრად უფრო სუფთა ქალაქია, ვიდრე წლების წინ იყო. ქალაქში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. თბილისის მერია ქალაქის დასუფთავებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას განაგრძობს და ამ მიზნით სხვადასხვა პროექტების განხორციელებას მომავალშიც გეგმავს," - აღნიშნა უგულავამ.

ისრაელში ულტრაორთოდოქსები შეიძლება ჯარში გაიწვიონ

თებერვალში ისრაელის უმაღლესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია კანონი, რომლის თანახმადაც რელიგიური სასწავლებლების სტუდენტები სამხედრო სამსახურისგან თავისუფლდებოდნენ. ახალი კანონი ივლისის ბოლოსთვის უნდა შემუშავებულიყო, მაგრამ პოლიტიკური პარტიები ამ დროისთვის კომპრომისულ ვარიანტზე ვერ შეთანხმდნენ. ისრაელის მოსახლეობის საერო უმრავლესობა ამ კანონს უსამართლოდ მიიჩნევს. ამჯერად, კანონის ვადის გასვლის გამო ულტრაორთოდოქსები შეიძლება, ჯარშიც გაიწვიონ. 1949 წლის კანონისა და 1986 წელს მიღებული შესწორებების თანახმად, ისრაელის ყველა მოქალაქე, რომელიც 18 წელს მიაღწევს, ჯარში უნდა გაიწვიონ, თუ არ არსებობს თავდაცვის სამინისტროს სხვა განსაკუთრებული განკარგულება. თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა სამინისტროს უკვე მისცა დავალება, რომ ერთ თვეში მოამზადონ წინადადებები 1949 წლის კანონის რეალიზაციისთვის. მინისტრის ბრძანებით, "გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასამარლოს დადგენილება, ისრაელის არმიის მოთხოვნები და ფასეულობები, თანასწორუფლებიანობა ჯარში გაწვევისას და ახალწვეულთა ვარგისიანობა სამხედრო სამსახურისათვის." სანამ ეს წინადადებები არ მომზადდება და პარლამენტი გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ულტრაორთოდოქსებს რეალურად არ გაიწვევენ.

პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ვერ ხედავს პრობლემას ზემოხსენებული კანონის ვადის გასვლაში. მისი სიტყვებით, ვაკუუმი არ იქმნება, არსებობს კანონი და თავდაცვის სამინისტრომ უნდა იმოქმედოს ამ კანონის და მიზანშეწონილობის შესაბამისად, ანუ გაზარდოს ახალწვეულთა რაოდენობა ულტრაორთოდოქსების ხარჯზე.

ულტრაორთოდოქსების ლიდერმა მეირ პერუშმა კი მედიას განუცხადა, რომ მისი სათვისტომოს წევრების ჯარში გაწვევის მცდელობამ შეიძლება, "სამოქალაქო ომი" გამოიწვიოს. მან ისიც დასძინა, რომ არც არმიაა მზად მათ მისაღებად და სამხედროებს არც აქვთ სურვილი, ამისთვის მოემზადონ.

თავდასხმას იემენში ორი ადამიანი შეეწირა

იემენის ოფიციალური პირების განცხადებით, სამშაბათს ღამით იემენის ქალაქ ჯაარში პოლიციის შენობაზე შეიარაღებული მებრძოლების თავდასხმას ორი პოლიციელი ემსვერპლა და სამი დაშავდა.

"ჯაარში პოლიციის შენობას ცეცხლი გაუხსნა ორმა შეიარღებულმა მებრძოლმა, რომლებიც მოტოციკლეტს მართავდნენ," - აღნიშნა იემენელმა მაღალჩინოსანმა. მისი თქმით, თავდამსხმელები, სავარაუდო, "ანსარ ალ-შარიას" წევრები იყვნენ. ეს დაჯგუფება "არაბეთის ნახევარკუნძულის ალ კაიდას" მოკავშირეა. "როიტერის" ცნობით, ანსარ ალ-შარიამ გასულ წელს აბიანის პროვინციის რამდენიმე ქალაქზე დაამყარა კონტროლი. ცოტა ხნის წინ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებულ მოხსენებაში იემენი ტერორისტების აქტიურობის ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილად არის მოხსენიებული.

უკრაინაში სცადეს ჟურნალისტების დაკავება "ხულიგნობისთვის"

ჟურნალისტები ნატალია სოკოლენკო და ტატიანა ჩორნოვილი დაიკავეს გზაზე გაკეთებული წარწერისთვის, რომელშიც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს მოუწოდებდნენ, ხელი არ მოეწერა ახალმიღებული სკანდალური კანონისთვის "რეგიონული ენების" შესახებ (ეს თემა კარგად არის ცნობილი "24 საათის" მკითხველისთვის). პრეზიდენტის ქალაქგარე რეზიდენციის "მეჟიგორიეს" შესასვლელის წინ ტატიანა ჩორნოვილმა ერთმეტრიანი ასოებით დაწერა: "იანუკოვიჩ, ენა - შენი განაჩენია, ხელი არ მოაწერო!" მისი მეგობარი და კოლეგა ნატალია სოკოლენკო მას, უბრალოდ, თან ახლდა, როათა შემდეგ ეს ფაქტი გაეშუქებინა. ტატიანა ჩორნოვილი პოლიტიკაში ძალების მოსინჯვას ცდილობს და უკრაინის უმაღლეს რადაში იყრის კენჭს (შესაძლოა, იგი ვიაჩესლავ და ტარას ჩორნოვილების ნათესავიც არის. გვარის გარდა, მათი ბიოგრაფიებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს - ჟურნალისტიკა-პოლიტიკა). ნატალია სოკოლენკო აცხადებს, რომ ტატიანა ჩორნოვილისთვის პოლიციას უნდოდა ხულიგნობის ბრალდება მიეყენებინა, რაც ითვალისწინებს ჯარიმას ან 15 დღით ადმინისტრაციულ პატიმრობას. თუმცა სასამართლომ გაიზიარა ჩორნოვილის ვერსია. პროტესტანტი ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ მისთვის ამ მუხლის მიყენება კანონიერი არ იყო, რადგან მას არც უცენზურო სიტყვები გამოუყენებია და არც ამორალური ქმედება ჩაუდენია. საბოლოოდ სასამართლომ მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა.

აფეთქებებს ბაღდადში, სულ მცირე, 17 ადამიანი ემსხვერპლა

ერაყის დედაქალაქის პოლიციის განცხადებით, გუშინ ბაღდადის ცენტრში დანაღმული მანქანების აფეთქებას 17 ადამიანი ემსხვერპლა. ერთ-ერთი აფეთქება, რომელსაც 7 პოლიციელი შეეწირა, პოლიციის განყოფილებასთან მოხდა, მეორე კი - რამდენიმე წუთში ერაყის საპასპორტო სამსახურთან. აფეთქებების შედეგად, სულ მცირე, 110 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 21 პოლიციის თანამშრომელია. უსაფრთხოების ძალებმა ერთ-ერთი სავარაუდო ექვმიტანილი უკვე მოკლეს. აფეთქებები, როგორც აღნიშნავენ, სამმა პირმა განახორციელა.

პანეტა: ასადის წასვლის შემდეგ სამხედროები თავის ადგილზე უნდა დარჩნენ

თამთა კახაძე

ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ განაცხადა, რომ მას სურს, ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან წასვლის დროს ქვეყნის სამხედროები საკუთარ ადგილზე დარჩნენ. "მე ვფიქრობ მნიშვნელოვანია ასადის წასვლის დროს ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება. ამის საუკეთესო გზა კი არის სამხედროების, პოლიციისა, უსაფრთხოების ძალების ერთად თავმოყრა, რომლებიც მთავრობის დემოკრატიულ ფორმაზე გადასვლას შეუწყობენ ხელს. ეს უმნიშვნელოვანესია," - ეს პანეტამ "სიენ-ენ"-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ამერიკა არ დაუშვებს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს ერაყში გადადგმული ნაბიჯის განმეორებას, როდესაც ქვეყნის სამხედროები დაითხოვეს. "მნიშვნელოვანია, რომ არ დავუშვათ ისეთივე შეცდომა, როგორც ერაყში მოხდა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ქიმიურ ქარხნებს ეხება. სირიელი სამხედროები კარგად იცავენ ამ ადგილებს. მათ მოულოდნელად ეს ადგილები რომ დატოვონ, დიდი შანსია, ქიმიური იარაღი არასწორ ხელში მოხვდეს, მაგალითად ჰეზბოლას ან სხვა ექსტრემისტური დაჯგუფებების ხელში, რაც კატასტროფას გამოიწვევს," - აღნიშნავს პანეტა.

თავდაცვის მინისტრმა გარკვეული რჩევებიც მისცა სირიელ დიქტატორს: "ვიცი, გულის სიღრმეში ასადი კარგად ხვდება, რომ საქმეები ცუდად მისდის და მისი წასვლა მხოლოდ დროის საკითხია. მინდა გითხრა, რომ თუ შენ საკუთარი თავისა და ოჯახის დაცვა გინდა, უმჯობესია, ახლავე წახვიდე," - ურჩევს პანეტა ასადს.

პანეტა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ერთკვირიან ტურნეს იწყებს. რეპორტიორებთან საუბრისას აღნიშნა, რომ სირიის თემას ის ყველგან შეეხება. "ამერიკამ და საერთაშორისო საზოგადოებამ ნათლად აჩვენეს, რომ ეს ყველაფერი მიუღებელია და დიპლომატიური და ეკონომიკური გზით ცდილობენ სირიაზე ზეწოლის განხორციელებას. ახლა მთავარია ამ ზეწოლის გაძლიერება, ოპოზიციის დახმარება და, როგორც შესაძლებელია, ლტოლვილებისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა," - დაამატა პენტაგონის შეფმა.

ირანს დიალოგის განახლების იმედი აქვს

პირველი გვერდიდან

"დარწმუნებით თქმა არ შეიძლია, თუმცა თუ ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, მოლაპარაკებები გაგრძელდება. მოლაპარაკებების შეწყვეტა არავის ინტერესებშია. არსებული წინააღმდეგობების დაძლევა მხოლოდ მოლაპარაკებების გზით არის შესაძლებელი," - აცხადებს ირანის პირველი დიპლომატი.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ირანის უფლება - გაამდიდროს ურანი - საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა აღიაროს, "ეს პრინციპის საქმეა," - აცხადებს სალეჰი. ირანი ირწმუნება, რომ მისი მიზანი ბირთვული იარაღის შექმნა არ არის და ურანის გამდიდრებაზე მუშაობა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

ისრაელს - ახლო აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, ერთადერთ ქვეყანას, რომელიც ბირთვულ იარაღს ფლობს, არაერთხელ უთქვამს, რომ დიპლომატიის მარცხის შემთხვევაში, ირანისგან მომდინარე საფრთხის გამო ამ ქვეყანაზე დარტყმას განახორციელებს.

სალეჰის განცხადებით, ირანს ორმუზის სრუტის გადაკეტვა არ სურს: "სპარსეთის ყურე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ირანისთვის, რეგიონისთვის და მსოფლიოსათვის. ჩვენ რაციონალურად ვფიქრობთ. ჩვენ არ გვსურს ამ უმნიშვნელოვანესი გზის გადაკეტვა და ზიანის მოტანა. თუმცა, თუ ჩვენ გვაიძულებენ, მაშინ ირანი იძულებული გახდება, საკუთარი სუვერენიტეტი და ეროვნული ინტერესები დაიცვას" - აცხადებს მინისტრი.

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კი გუშინ გამოაცხადა ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების შესახებ, რომლებიც ერაყისა და ჩინეთის ბანკების წინააღმდეგაც იქნება მიმართული.

ობამას განცხადებით, ჩინურმა ბანკმა "კუნლუნმა" და Elaf Islamic Bank-მა ერაყში, სანქციების მიუხედავად, ირანის ბანკებთან მილიონ დოლარზე მეტი ტრანზაქცია განახორციელეს. "ამ ფინანსური ინსტიტუტების ამერიკიდან მოკვეთა ნიშნავს, რომ ჩვენ გამოვააშკარავებთ ნებისმიერ ფინანსურ ინსტიტუტს, სადაც არ უნდა მდებარეობდნენ ისინი," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ამერიკისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შემდეგ ირანის ნავთობის ექსპორტი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. როგორც აღნიშნავენ, სანქციებმა ირანის ეროვნული ვალუტის ღირებულება 28 პროცენტით გააუფასურა.

გუშინდელ განცხადებაში ამერიკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამერიკა ირანის პრობლემის მოგვარების დიპლომატიურ მეთოდებს უჭერს მხარს.

ამერიკის ყოველწლიური მოხსენება ტერორიზმის შესახებ

თამთა კახაძე

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ყოველწლიური მოხსენება მთელ მსოფლიოში ტერორიზმის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშის თანახმად, მართალია, ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბინ ლადენის და სხვა მთავარი პირების ლიკვიდაციის შემდეგ ტერორისტული დაჯგუფება "ალ კაიდა" შესუსტებულია, თუმცა მსგავსი ჯგუფების გაერთიანება ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ამერიკის უსაფრთხოებისთვის კვაღავ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

"ალ კაიდას" მთავარი ცენტრის დასუსტების შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ მიმდინარეობს ჯგუფების ერთმანეთთან შეერთება მსოფლიოს მასშტაბით. "ალ კაიდასა" და "არაბული ნახევარკუნძულის ალ კაიდას" გაერთიანება განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს," - ნათქვამია მოხსენებაში.

მსოფლიოს მასშტაბით ტერორიზმისა და ტერორისტული დაჯგუფებების მიმოხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ გასულ წელს პაკისტანში უსამა ბინ ლადენის სიკვდილის შემდეგ დაჯგუფება შესამჩნევად დასუსტდა და მას ძველი სიძლიერის მიღწევა ძალიან გაუჭირდება. თუმცა, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ამისა, "ალ კაიდას" კვლავ შეუძლია ისეთი თავდასხმების განხორციელება, რომელიც შესაძლოა, აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებას სერიოზულად დაემუქროს.

ე.წ არაბული გაზაფხულის შემდეგ შექმნილი არასტაბილური გარემოს გამო "ახლო აღმოსავლეთის რეგიონი 2011 წელს ტერორისტული საქმიანობისთვის ყველაზე აქტიურ რეგიონად იქცა."

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული "არაბეთის ნახევარკუნძულის ალ კაიდაზე", რომელიც ბოლო პერიოდში სერიოზულ პრობლემებს ქმნის. გასულ წელს ჯგუფმა "იემენის სამხრეთ ნაწილზე დაამყარა კონტროლი და ქვეყანაში არაერთი თავდასხმა განახორციელა."

ამ ჯგუფმა 2009 წელს დეტროიტში სამგზავრო თვითმფრინავში აფეთქების მცდელობა საკუთარ თავზე აიღო. ეს დაჯგუფება იდგა 2010 წელს კარტრიჯებში ჩადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის უკან, რომელიც ჩიკაგოს სინაგოგაში უნდა მიეტანათ. პაკეტები დიდ ბრიტანეთსა და დუბაიში აღმოაჩინეს.

მოხსენებაში ჩრდილო და აღმოსავლეთ აფრიკაში ტერორისტების გაძლიერებაზეც არის საუბარი: "ალ-შაბაბი სამხრეთ და ცენტრალური სომალის დიდ ნაწილს აკონტროლებს." ქვეყნის მთავრობას კი მათი კონტრლი, ფაქტობრივად, არ შეუძლია.

მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ ირანი "ტერორისტული საქმიანობის წამყვანი დამფინანსებელია მსოფლიოში."

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ია ვეკუა

2012 ქართული დიპლომატიური სამსახურისთვის საკმაოდ აქტიური აღმოჩნდა, რადგან ბევრ ქვეყანასთან სახელმწიფო დონეზე ურთიერთობის ოფიციალურად დაწყების იუბილე სწორედ წელს აღვნიშნეთ. დიპლომატიური ურთიერთობის 20 წლის იუბილე გვაქვს იაპონიასთანაც, რომლის საელჩომაც სხვა ქვეყნების წარმომადგენლობების მსგავსად მრავალფეროვანი სადღესასწაულო პროგრამა შემოგვთავაზა, პროგრამის კინონაწილი კი 3-5 აგვისტოს კინოთეატრ "რუსთაველში" გაიმართება. ფილმებს მეხუთე დარბაზში, ორიგინალ ენაზე, ქართული და ინგლისური სუბტიტრებით აჩვენებენ.

იაპონიის საელჩო ამჯერად ორ მხატვრულ ფილმს წარმოგვიდგენს და ორივე ფილმი ამ ქვეყნისთვის ძალიან მტკივნეულ თემას - 2011 წლის 11 მარტს მომხდარ მიწისძვრას პირდაპირ ან მხოლოდ ირიბად ეხმიანება.

მასაჰირო კობაიაშის 2010 წლის ფილმი "მოგზაურობა ჰარუსთან ერთად" მიაგის პრეფექტურაშია გადაღებული - სწორედ იქ, სადაც ერთი წლის შემდეგ ყველასთვის ცნობილი ტრაგედია დატრიალდა. ფილმის შინაარსი კი თითქოს წინასწარმეტყველებასავითაა და ცხოვრებისეული პრობლემებით დამძიმებული ადამიანების გამოუვალ მდგომარეობას აღწერს. მიწისძვრისა და ცუნამისთვის განწირული ქალაქის მაცხოვრებლებისთვის დრო დიდი ხნის წინ შეჩერდა, მისი მოსახლეობა კი უკანასკნელი ძალებით იბრძვის გადარჩენისთვის. კობაიაშის ფილმის მთავარი გმირი, მოხუცი მეთევზე ტადაო მთელ დღეებს წლების წინ გარდაცვლილ ქალიშვილზე მოგონებებში ატარებს, მისი ერთადერთი პატრონი კი შვილიშვილი ჰარუა. გოგონა სამსახურს კარგავს, რის გამოც იძულებულია, სხვა ქალაქში გაემგზავროს, მოხუცი ბაბუა კი სხვას დაუტოვოს მოსავლელად. მოხუცი შვილიშვილის სურვილს დაჰყვება და იმ ქალაქიდან შორს გაემგზავრება, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობს მისი გარდაცვლილი შვილის სული, ხოლო სულ მალე იქაურობა უპატრონოთა სასაფლაოს დაემსგავსება.

მეორე ფილმი - "კვარტეტი!" წლევანდელი პროდუქციაა. მისი ეკრანებზე გამოსვლა 2011 წელს იგეგმებოდა, მაგრამ რეჟისორ ჯუნიჩი მიმურას სწორედ შარშანდელმა მიწისძვრამ შეუშალა ხელი გადაღებების დასრულებაში (თავად ფილმი კი მიწისძვრისგან განსაკუთრებით დაზარალებულ ქალაქ ურაუასუს ეძღვნება). ფილმის მთავარი პერსონაჟი სკოლის მოსწავლე გოგონა კაი ნაგაეა. ის მუსიკოსების ოჯახიდანაა, მაგრამ მისი მშობლები და უფროსი და დიდი ხანია ინსტრუმენტებს აღარ ეკარებიან, მეტიც, მათ ერთმანეთთანაც დაკარგული აქვთ კომუნიკაცია. გოგონა გადაწყვეტს, რომ დროა, ამ გაუცხოებას ბოლო მოეღოს და ოჯახური კვარტეტის ჩამოყალიბებას იწყებს.

კადრი ფილმიდან "კვარტეტი".

იაპონია-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 20 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იაპონიის საელჩომ ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო. "იაპონიის გაზაფხულის" პროგრამა 18 თებერვალს საბალეტო წარმოდგენამ გახსნა - ნინო ანანიაშვილმა იაპონელ ბალერინა შინობუ ტაკიტასთან ერთად იცეკვა, 11 მარტს კი საელჩოს ორგანიზებით მიწისძვრისადმი მიძღვნილი საბავშვო ნახატების გამოფენა გაიხსნა. ამ ნახატების ავტორები მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ბავშვები იყვნენ, რის გამოც გამოფენა განსაკუთრებით ემოციური გახლდათ. იმავე დღეს კონსერვატორიაში მევიოლინე კენ აისოს კონცერტიც გაიმართა, ხოლო ერთი დღით ადრე ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორ ჰიროტაკე მაედას წიგნის "ქართველები საფავიდურ ირანში" პრეზენტაცია გაიმართა. იყო კიდევ ერთი კინოჩვენება - მარტის ბოლოს კინომოყვარულებმა სამი იაპონური ფილმი ნახეს: კიჩიტარო ნეგიშის "რა მოაქვს თოვლს", ისამუ მაკაეს "ამბავი ჩემზე, ჩემს ოჯახსა და ძაღლზე" და ცუტომუ შიბაიამას ანიმე "ცეროდენა მარუკო".

ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲩᲘᲡ-ᲑᲐᲒᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ამერიკის ელჩთა კულტურის დაცვის ფონდის (AFCP) თანადაფინანსებით არმაზციხის არქეოლოგიური სამუშაოები დასრულებულია. განხორციელებული პროექტის შეჯამების მიზნით 31 ივლისს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ბრიჯიტ ბრინკი და ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე მცხეთაში - ბაგინეთის არქეოლოგიურ ძეგლზე დასულებული სამუშაოები მოინახულებს.

ქართულ-ამერიკული პროექტის ფარგლებში ბაგინეთის არექოლოგიური ზონა ნაყარი მიწისგან და მცენარეული საფარისგან მთლიანად გაიწმინდა, კონსერვაცია ჩაუტარდა სამეფო აბანოს, მარანსა და ქვის სარკოფაგს; დაცვითი ხის კიბეები დამონტაჟდა კლდეკარზე, წარმართულ ტაძარსა და მარანს შორის. ძეგლის ტერიტორიაზე განთავსდა საინფორმაციო დაფები და მოეწყო ბილიკები.

პროექტის პარალელურად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ბაგინეთში განხორციელდა ყველა არქეოლოგიური ძეგლის - დედოფლის აბანოს, წარმართული ტაძრის, ორსენაკიანი ნაგებობის, სვეტებიანი დარბაზის, ერთნავიანი ეკლესიის კონსერვაცია. მოეწყო და დამონტაჟდა ინფრასტრუქტურის მთავარი ელემენტები - ჯიხური, დასასვენებელი სკამები, სანაგვე ურნები და უსაფრთხოების მოაჯირები.

ამ დროისთვის კულტურლი მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ეროვნული მუზეუმის მიერ ანტიკური ხანის სამეფო კომპლექსის კვლევითი არქეოლოგიური სამუშაო უკვე დასრულებულია. ახალი სამეცნიერო მონაცემებით, დაახლოებით 400 მ. მიწის ფართობზე გამოვლენილია ქვათლილებით ნაგები სათავსოს ნაშთი, "ორსენაკიანი ნაგებობის" ჩრდილოეთით, აღმოჩენილია ქვის საფუძველზე ალიზით ნაგები და კრამიტით გადახურული ექვსი ცალკეული სახლი (II-III სს.) და ქვატეხილებით და ქვათლილებით ნაგები ორი სახლი (IV-V სს.). ასევე გამოვლენილია II-III სს-ით დათარიღებული კერამიკული მასალა: სანელსაცხებლეს, ჩაფის, ხელადის ფრაგმენტები.

დავით ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ ვაჩეიშვილი გათხრებთან

არქეოლოგიური-კვლევითი სამუშაოები დაფინანსდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, სამუშაობს აწარმოებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ცენტრი.

არმაზის ციხე ძვ.წ. IV-III სს. - ახ. წ. IV-V სს. ნამოსახლარია. აქ გამოვლენილი მასალა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმ დროინდელი ქართლის ძველი დედაქალაქის, მცხეთის სამეფო რეზიდენციის - არმაზციხის შესახებ.

არმაზციხეზე პირველი არქეოლოგიური სამუშაოები 120 წლის წინ ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და ექვთიმე თაყაიშვილის მონაწილეობით განხორციელდა. მაშინ აღმოჩნდა I საუკუნის პოლიქრომული ფერწერის ნაშთი - ფრესკის ნატეხი ქალღვთაების გამოსახულებით, რაც ძალზედ იშვიათობაა ამ პერიოდისათვის.

მომდევნო წლებში ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები პერიოდულად მიმდინარეობდა. 1943-48 წწ. აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით გამოვლინდა სამეფო სასახლე - ე.წ. "სვეტებიანი დარბაზი", რომაული ტიპის აბანო, ზღუდე-გალავნისა და ოთხკუთხა კოშკების ნაწილები, ქვათლილებით ნაგები სამეფო აკლდამის ნაშთი და ერთიანი ქვისაგან გამოთლილი ორფერდა სახურავიანი სარკოფაგი, რომელიც შეიცავდა ოქრომჭედლობის (II-III სს.) უმდიდრეს ნიმუშებს.

1993-98 წლებში ძეგლზე აღმოჩნდა ახ.წ. პირველი საუკუნეების ტაძარი მარნითურთ, რომაული ტიპის ორი აბანო, აუზი და ბერძნულ ენაზე შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ქართლის (იბერიის) სამეფო კარზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე მოგვითხრობს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციტივით და დაფინანსებით საქართველოს ეროვნული მუზეუმი მიერ განხორციელებული ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლის კვლევითი სამუშაოების ამ ძეგლის შესწავლის ახალ ეტაპზს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი კვლევების დროს 1998 წელს გამოვლენილი ტაძრისა და მარნის დასავლეთით აღმოჩნდა ქვათლილებით ნაგები და როგორც ჩანს, კრამიტით დაბურული შენობები,სადაც დადასტურდა: მოზაიკური ფილები, კირხსნარისგან დამზადებული პროფილირებული არქიტექტურული დეტალები, სავარძლის ბრინჯაოს მორთულობა, ბრინჯაოს სარკე, მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნაწილები და სხვა.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ - ᲛᲘᲠᲒᲝᲠᲝᲓᲨᲘ

4 აგვისტოს ქალაქ მირგოროდში დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ხსოვნის 220 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება. კულტურული ღონისძიება ეძღვნება პოეტის ხსოვნას, მის შემოქმედებას და მოღვაწეობას. დაგეგმილია: დავით გურამიშვილის სახელობის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის ფასადზე მემორიალური დაფის გასხსნა (უკრაინულ და ქართულ ენებზე); ქართველი ფოტოგრაფის შალვა ლონდარიძის ფოტოგამოფენა; სამოქალაქო პანაშვიდი დავით გურამიშვილის საფლავზე; კონცერტი მირგოროდის ცენტრალურ მოედანზე 19 საათზე, რომელშიც ქართველი შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას.

ღონისძიების საპატიო სტუმრები საქართველოდან არიან საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "მართვე" (ქ. თბილისი) და "ცოტნე დადიანის დარბაზის" გუნდი (ქ. ზუგდიდი).

ღონისძიებას დაესწრებიან: საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებათა წარმომადგენლები, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, უკრაინის ქართველთა ასოციაცია "იბერიელისა" და სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება "გეორგიას" პრეზიდენტი ბესიკ შამუგია, ქართველი და უკრაინელი მწერლები, ქალაქ მირგოროდისა და პოლტავის რეგიონის ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლები.

ღონისძიების ორგანიზატორებია: სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება "გეორგია", ქალაქ მირგოროდის დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. მხარს უჭერს საქართველოს საელჩო უკრაინაში და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

დავით გურამიშვილის მემორიალი მირგოროდში

პროექტის ორგანიზატორები არიან: ქალაქ მირგოროდის დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება "გეორგია". ღონისძიებები უკრაინაში ტარდება საქართველოს საელჩოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

europe-bet.com

"ლონდონი 2012"-ს წარმოგიდგენთ

დიდი იმედგაცრუება

კახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

ყველაზე დიდი იმედგაცრუება ქართველთათვის ძიუდოისტ ვარლამ ლიპარტელიანის (90 კგ.) დამარცხება იყო. ფალავანი, ვისგანაც ოქროს მედალსაც კი მოელოდნენ, მეორე წრეში სრულიად უცნობ ავსტრალიელ მარკ ენტონისთან დამარცხდა. ენტონი არაფრით გამოირჩევა. ის მომდევნო წრეშივე გამოეთიშა ასპარეზობას და მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ვარლამი ასეთ მეტოქეს ვერ გაუმკლავდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ვარლამმა ტურნირიც მძიმედ დაიწყო. მწვრთნელებიც, ძიუდოში ჩახედული სპეციალისტებიც გაკვირვებულნი დარჩნენ, თუ რატომ გამოიყურებოდა ლიპარტელიანი ასე ინერტულად. ქართული დელეგაციაც გაოგნებული იყო. ვისაც ლიპარტელიანის ჭიდაობა უნახავს, ერთხმად აღიარებს, რომ ის, ოქროსი თუ არა, ვერცხლის მედლის კანდიდატი ნამდვილად იყო. მასსავით ჭკვიანურად და ეფექტურად მსოფლიოში ბევრი ვერ ჭიდაობს. თუმცა, ეს ძიუდოა და აქ ერთი მოდუნებაც კი კმარა კატასტროფისთვის.

საოცარია, მაგრამ უკვე მესამე ძიუდოისტი გამოეთიშა ასპარეზობას თავისსავე ილეთზე წამოგების გამო. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ ქართველები რისკავენ, ცდილობენ, შემოქმედებითი ძიუდო იჭიდაონ და მეტოქემ კი არ წააგოს, არამედ თვითონ მოიგონ. ეს თვისება ქართული ძიუდოს სკოლის სადარბაზო ბარათია მსოფლიოში. მეორე მხრივ, ამ ტაქტიკას ხშირად უკუჩვენება მოჰყვება ხოლმე (მოჰყვა კიდეც სამჯერ), რადგან აზარტში შესულებს სიზუსტე ღალატობთ. ილეთის შესრულებისას საყრდენ ფეხს ზუსტ წერტილში ვერ დგამენ და კონტრილეთზე წამოეგებიან ხოლმე. ასე იყო შუკვანის, ჭრიკიშვილის და ახლა უკვე ლიპარტელიანის შემთხვევაში.

ვარლამმა ტურნირი მძიმედ დაიწყო. პირველ წრეში მას კამერუნელი დიუდონ დოლასემი შეხვდა. აფრიკელი ცდილობდა თავი დაეცვა და ქართველი ფალავნის შეცდომას ელოდებოდა. ვარლამმა ამ შემთხვევაში სწორი ტაქტიკით წარმართა ორთაბრძოლა. თავისი აქტიურობით მეტოქე აიძულა რამდენჯერმე გაეფრთხილებინათ და საბოლოოდ ამ გაფრთხილებებით ვაზარი გამოიმუშავა, რაც გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა.

მეორე წრეში ქართველს მარკ ენტონი დაუპირისპირდა. ისიც ზუსტად იმავე ყაიდის მოჭიდავე აღმოჩნდა, როგორიც კამერუნელი იყო. ავსტრალიელიც ელოდებოდა ლიპარტელიანის შეცდომას. ვარლამმა იგრძნო, რომ ავსტრალიელის დამარცხება შეეძლო და გარისკა. ლიპარტელიანი იუკოთი იგებდა, მაგრამ დროზე ადრე მოინდომა ბრძოლის დასრულება, ილეთი წამოიწყო და ვეღარ დაასრულა. ავსტრალიელმა ვარლამი კონტრილეთზე დაიჭირა და ვაზარი აართვა. დრო კიდევ იყო და, ბუნებრივია, რომ ლიპარტელიანი იერიშზე გადავიდა. გდებაც განახორციელა, მაგრამ მხოლოდ იუკო ჩაუთვალეს, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა და ლიპარტელიანი ოლიმპიურ თამაშებს დაემშვიდობა.

- არ მინდა მსაჯების გაკრიტიკება, მაგრამ ვარლამის მეორე გდება შეიძლებოდა ვაზარად შეეფასებინათ. სამწუხაროდ, მხოლოდ იუკო მისცეს, - ამბობს გიორგი ვაზაგაშვილი, - გული დამწყდა. ვარლამი ყველანაირად კარგად იყო მომზადებული. მას მედალი უნდა აეღო და ვერ გამიგია, რატომ გარისკა ავსტრალიელთან შეხვედრაში. იუკოთი იგებდა და მოიგებდა კიდეც, რად უნდოდა გარისკვა?

- ეს რისკი ვარლამის სტილიდან ამოვარდნილი იყო?

- არა, ვარლამი ყოველთვის გამოირჩეოდა აგრესიული სტილით, მაგრამ ეს ოლიმპიური თამაშებია და აქ სიფრთხილე გმართებს. მით უფრო, როცა იგებ. არ იყო ამის აუცილებლობა. მაშინ უნდა გარისკო, როცა გჭირდება. ვარლამს ეს არ სჭირდებოდა.

- კამერუნელის წინააღმდეგ ცოტა სხვანაირად მოქმედებდა და ერთი გდებაც ვერ განახორციელა.

- მართალია, მაგრამ მეტოქე ხომ აიძულა გაფრთხილებები მიეღო, რაც საბოლოოდ ვაზარში გადაიზარდა? ვარლამი კამერუნელთან პრაგმატულად მოქმედებდა. უბრალოდ, მეტოქე ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო და ვარლამმაც აღარ გარისკა. ამან შედეგი მოუტანა. ავსტრალიელთანაც იმავე ტაქტიკით რომ ეჭიდავა, მშვიდად გავიდოდა მესამე წრეში. ავსტრალიელი ვერაფერს გააწყობდა. ის ვაზარიც არ იქნებოდა, მაგრამ რატომღაც იჩქარა.

- ახლა დაგვრჩა ორი სპორტსმენი - ლომერ ჟორჟოლიანი და ადამ ოქრუაშვილი. ჯერ ჟორჟოლიანის ჯერია. რას იტყვით, როგორი წილისყრა აქვს?

- ვერ ვიტყვი, რომ ჟორჟოლიანს იოლი გზა აქვს გასავლელი. პირველ წრეში რუმინელ დანიელ ბრატას ხვდება და, ალბათ, ეს ბარიერი უნდა დაძლიოს, მაგრამ მეორე წრეში უკვე ყაზახ მსოფლიო ჩემპიონს, მაქსიმ რაკოვს გადაეყრება და ურთულესი ბრძოლა ელის. თუ ამ ბარიერსაც დაძლევს, მეოთხედფინალში კორეელ ჰი-ტაე ვანგთან ექნება საქმე. ასე რომ, რთული ბადე აქვს.

- რაკოვს აქამდე არ შეხვედრია?

- წელს შეხვდა მასტერსზე. სხვათა შორის, ტურნირი ყაზახეთში გაიმართა და ლომერმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბოლომდე ებრძოლა ტიტულოვან მეტოქეს და მხოლოდ გაფრთხილების გამო წააგო. ასე რომ, შანსი არსებობს. ვნახოთ. რაც შეეხება ადამ ოქრუაშვილს, მას უფრო რთულად აქვს საქმე. ის პირველივე წრეში ძლიერ გერმანელ ფალავანს, ანდრეას ტოლცერს ხვდება. თუმცა, იქნებ ისეთ ჟინზე იყოს, რომ ყველაფერი გამოუვიდეს...

ლონდონში სიცარიელეს ებრძვიან

პირველი გვერდიდან

ამასობაში ცარიელი ტრიბუნებით შეწუხებულმა ბრიტანელებმა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, მიზეზს მიაგნეს. ამბობენ, კორპორატიული ბილეთები ასე დაუფიქრებლად არ უნდა გაგვეცაო.

ორგანიზატორებისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მტკიცებით, ნახევრად ცარიელი ტრიბუნების წინ სპორტსმენთა ასპარეზობების მიზეზი მარტო ის არ არის, რომ

ოლიმპიური თამაშების სპონსორები არ იყენებენ მათთვის განკუთვნილ ბილეთებს. მათი თქმით, სპონსორებისთვის განკუთვნილი იყო ბილეთების საერთო რაოდენობის 8 პროცენტი. დამატებით 12 პროცენტი გადაეცა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს და 5 პროცენტი - "ოლიმპიური ოჯახის" წევრებს - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიდმოხელეებსა და ჟურნალისტებს. ბილეთების 75 პროცენტი კი გულშემატკივრებსა და მაყურებელზე განაწილდა.



მედლების Top 10

	I	II	III	სულ
1. ჩინეთი	**15**	**8**	**4**	**27**
2. აშშ	10	8	8	26
3. საფრანგეთი	5	3	4	12
4. სამ. კორეა	5	2	3	10
5. ჩრდ. კორეა	4	0	1	5
6. გერმანია	3	7	2	12
7. იტალია	3	4	2	9
8. ყაზახეთი	3	0	0	3
9. რუსეთი	2	3	5	10
10. დიდი ბრიტანეთი	2	2	4	8
19. საქართველო	**1**	**0**	**0**	**1**

ბრიან ბეჩარაშვილის ფოტო

სოკ-ის წარმომადგენლის, მარკ ადამსის განცხადებით, ცარიელი ტრიბუნები ყველა ამ ჯგუფის მიერ გამოუყენებელი ბილეთების დამსახურებაა.

ტრიბუნებზე სიხალვათით იმედგაცრუებულია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონიც.

ლორდ კოეს წინადადებით, კარგი იქნება, თუ ცარიელი ადგილების შესავსებად ბილეთები დაურიგდებათ ჯარისკაცებს, სტუდენტებსა და მასწავლეებს.

ამ საკითხზე უფრო მეტს მაშინ იმსჯელებენ, როდესაც ლონდონის XXX ოლიმპიური თამაშები ისტორიის საკუთრება გახდება და შემოსავალ-გასავალს დაითვლიან.

ჯერჯერობით კი ერთადერთი სანახაობა, სადაც ანშლაგი იყო, ეს გახსნის საზეიმო ცერემონიაა, რომელსაც პირდაპირ ეთერში 80 ათასმა ადამიანმა მიადევნა თვალყური. არის რამდენიმე იშვიათი გამონაკლისი, როდესაც ტრიბუნა ივსება, მაგრამ წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებელთან მოსატანი არ არის. ასეთი იშვიათობა იყო ცხენოსანთა გუნდური ასპარეზობა, როდესაც ინგლისის დედოფლის ელისაბედ მეორის შვილიშვილმა, ზარა ფილიპსმა 23 ათასი გულშემატკივრის წინაშე სამჭიდში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა და ოლიმპიურ სამეფოშიც შეაბიჯა.

დაბოლოს, რა ხათაბალაშიც გაეხვივნენ ორგანიზატორები, ამისთვის დამატებით ციფრებს მოვიშველიებთ.

აქამდე გაუყიდავია საფეხბურთო მატჩებზე დასასწრები დაახლოებით 200 ათასი ბილეთი და 100-120 ბილეთი სხვა შეჯიბრებებზე დასასწრებად. გარდა ამისა, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, გაყიდული ბილეთის პატრონის გამოუცხადებლობის ან დარბაზიდან გარკვეული დროით გასვლის შემთხვევაში, ბილეთი ხელმეორედ გაყიდონ.

europe-bet.com

"ლონდონი 2012"-ს წარმოგიდგენთ

ოლიმპიადას მასპინძლობენ და წუხან ამაზე

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

Financial Times ლონდონის ოლიმპიური თამაშების შესაძლო ეკონომიკურ შედეგებზე წუხს. გავლენიანი ფინანსური გაზეთის შეფასებით, ოლიმპიური დედაქალაქი აჩრდილს ჰგავს. ქალაქის ცენტრალური ქუჩებიც კი ცარიელია, რადგან ბევრი ლონდონელი, ტურისტების მოზღვავების შიშით, მაღაზიებში, თეატრებსა და მუზეუმებში სიარულისგან თავს იკავებს. ეკონომისტთა დათვლებით, თამაშებმა დაახლოებით 100 ათასი უცხოელი ტურისტი მიიზიდა. ეს მაშინ, როდესაც წლის ამ მონაკვეთში ლონდონს საშუალოდ 300 ათასი ტურისტი სტუმრობს.

ამგვარი სიხალვათით ყველაზე მეტად ზარალდებიან უესტ-ენდის კომერციული თეატრები, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს პროვინციებიდან ჩამოსულები კვებავენ. მათი რიცხვი კი ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას ჩვეულებრივზე ნაკლებია.

განსაკუთრებული აჟიოტაჟი არ შეიმჩნევა ლონდონის სასტუმროებში. არაერთმა სასტუმრომ კლიენტთა მოსაზიდად ფასებიც დააგდო. ლონდონის მეტროს დატვირთვა კი სულ რაღაც 4 პროცენტით გაიზარდა. გავლენიანი ფინანსური გაზეთის აზრით, ეს ყველაფერი საეჭვოს ხდის ქალაქის ხელისუფალთა დანაპირებს, რომლის მიხედვით, ლონდონის ოლიმპიური თამაშები უმოკლეს ვადებში დედაქალაქის ეკონომიკის ბუმს გამოიწვევს.

"ფაინენშელ თაიმსისგან" განსხვავებით, Independent ოლიმპიადის მიმართ ბრიტანელთა დამოკიდებულებაში რაღაც დადებითსაც ხედავს. ამ გაზეთის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად (გამოკითხეს ათასზე მეტი რესპონდენტი), ბრიტანელთა დამოკიდებულება ოლიმპიური თამაშებისადმი მას

გიგა გურასაშვილის ფოტო

შემდეგ შეიცვალა უკეთესობისკენ, რაც ოსკაროსანი რეჟისორის, დენი ბოილის სცენარით დადგმული თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონია იხილეს. თუმცა, კონსერვატიული პარტიის მომხრეები, ლეიბორისტული შეხედულებების მქონე მოქალაქეებისგან განსხვავებით, ნაკლებად უჭერენ მხარს ოლიმპიურ თამაშებს.

იგივე გაზეთი აქვეყნებს რეპორტაჟს ოლიმპიური სტადიონიდან, სადაც ახლა ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიისთვის განკუთვნილი დეკორაციის დემონტაჟი მიმდინარეობს. დემონტაჟისთვის კი იყენებენ იტალიაში შეძენილ საგანგებოდ შემუშავებულ უნიკალურ ტექნიკას, რომელსაც რეკორდულ ვადებში მიწის დიდი მოცულობის დამუშავება და სტადიონის სარბენი ბილიკების გაწმენდა შეუძლია. იდეალურად სწორი ზედაპირის გარეშე კი მძლეოსანთა ასპარეზობების ჩატარება შეუძლებელია. სპორტის დედოფალი" ოლიმპიურ სტადიონზე პარასკევს შებრძანდება, ხვალ კი იმავე სტადიონზე ერთგვარი ტექნიკური რეპეტიცია ჩატარდება რეალური სპორტსმენების მონაწილეობით. გუშინ შემოწმდა კონტროლის სისტემა, მათ შორის, დოპინგ-კონტროლის.

მილიონერი ოლიმპიელები

როდესაც ოლიმპიურ თამაშებსა და ოლიმპიელებზე ვსაუბრობთ, უმეტესობას თვალწინ წარმოუდგება ახალგაზრდა ქალი ან მამაკაცი, რომელიც ბევრს შრომობს, რათა დასახულ მიზანს მიაღწიოს. სიტყვა ოლიმპიელი" არასდროს ასოცირდება მილიონერთან. ოლიმპიურ თამაშებზე ფულის მოსაგებად არავინ მიდის, მაგრამ გამარჯვების შემდეგ ჩემპიონები საგრძნობლად იუმჯობესებენ ფინანსურ მდგომარეობას. თუმცა, არიან ოლიმპიელები, რომლებიც მილიონერის სტატუსით ჩადიან ოლიმპიადაზე. დღეს ვისაუბრებთ ლონდონის ოლიმპიური თამაშების 9 მონაწილეზე, რომლებმაც გასული ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი თანხა იშოვეს. ცხადია, ეს სია ძირითადად კალათბურთელებსა და ჩოგბურთელებს მოიცავს. გამონაკლისი მხოლოდ უსაინ ბოლტია.

9.კრის პოლი (19.2 მილიონი, აშშ, კალათბურთი)

"კლიპერსის" მცველი NBA-ს ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელიც ამ სიაში შევიდა. ტოპ ცხრიანში ის ბოლო ადგილს იკავებს. საერთოდ, ბოლო ადგილზე გასვლა მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა იყოს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საუბარია ოლიმპიური თამაშების უმდიდრეს სპორტსმენებზე, მეცხრე ადგილი ურიგო არ არის.

8.ნოვაკ ჯოკოვიჩი (19.8 მილიონი, სერბეთი, ჩოგბურთი)

სერბი ვარსკვლავი პირველი ჩოგბურთელია, რომელსაც ამ სიაში წარმოგიდგენთ, მაგრამ არა პირველი უმდიდრესი. ერთი წლის განმავლობაში მისი ანგარიში სულ რაღაც 19.8 მილიონი დოლარით გაიზარდა.

7.უსაინ ბოლტი (20.3 მილიონი, იამაიკა, მძლეოსნობა)

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უსაინ ბოლტი ერთადერთია უმდიდრესთა სიაში, რომელიც, ასე ვთქვათ, "რეალური" ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელია. 2008 წელს მოგებული პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ უსაინს ფინანსური აღმასვლა დაეწყო. არაერთი სარეკლამო კონტრაქტის წყალობით, მისმა შემოსავალმა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში 20.3 მილიონ დოლარს მიაღწია.

6.კარმელო ენტონი (22.9 მილიონი, აშშ, კალათბურთი)

"მელო" ამ სიაში მხოლოდ მეექვსე ადგილზეა. "ნიქსის" ვარსკვლავი, შესაძლოა, უფრო მაღალ საფეხურზეც აღმოჩენილიყო, თავის დროზე მიხაილ პროხოროვის "ნიუ ჯერსისთან" რომ გაეფორმებინა კონტრაქტი, თუმცა, სეზონში 22.9 მილიონი დოლარის მიღებაც არ უნდა იყოს ურიგო. ასე რომ, ორი კვირა უფასოდ თამაში მას არ უნდა გაუჭირდეს.

5.კევინ დურანი (25.5 მილიონი, აშშ, კალათბურთი)

NBA-ს კიდევ ერთი ვარსკვლავი. მისი წყალობით "ოკლაჰომა" NBA-ს ფინალშიც კი გავიდა, მაგრამ იქ "მაიამისთან" დამარცხდა. სავარაუდოდ, ოლიმპიური თამაშები კევინისთვის უფრო წარმატებული უნდა გამოდგეს, თუმცა, მის ფინანსურ მდგომარეობაზე ეს არავითარ გავლენას არ მოახდენს.

4.მარია შარაპოვა (27.1 მილიონი, რუსეთი, ჩოგბურთი)

ერთადერთი ქალი ამ სიაში. მარია ყველაზე მდიდარი ქალია ოლიმპიურ თამაშებზე. გასული წლის განმავლობაში რუსმა ლამაზმანმა 27 მილიონ დოლარზე მეტი იშოვა.

3.კობი ბრაიანტი (52.3 მილიონი, აშშ, კალათბურთი)

ალბათ წარმოუდგენელია, რომ აშშ-ის ნაკრები და კობი სამშობლოში ოქროს მედლის გარეშე დაბრუნდნენ, თუმცა, თუ ეს საოცრება მოხდა, 52 მილიონი, რომელიც ბრაიანტმა გასული ერთი სეზონის განმავლობაში მიიღო, მას ამ წარუმატებლობის გადატანაში დაეხმარება.

2.ლებრონ ჯეიმსი (53 მილიონი, აშშ, კალათბურთი)

ლებრონს მაიკლ ჯორდანს ადარებენ, თუმცა, ჯორდანამდე ბევრი უკლია. სამაგიეროდ, ერთი სეზონის განმავლობაში ისეთი შემოსავალი მიიღო, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ჩასული სპორტსმენების დიდ ნაწილს არც დაესიზმრება.

1.როჯერ ფედერერი (54.3 მილიონი, შვეიცარია, ჩოგბურთი)

უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ჩოგბურთის შვეიცარიელმა დიდოსტატმა 54 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო. ცხადია, ეს ფული მხოლოდ უიმბლდონის მოგებით არ დაგროვდა. როჯერს უამრავი სარეკლამო კონტრაქტი აქვს. ოლიმპიური ოქრო ამ კონტრაქტების რაოდენობას დიდად არ გაზრდის, თუმცა, ახლა ფედერერი კონტრაქტებისთვის კი არა, მედლისთვის იბრძვის.

როჯერ ფედერერი

სერენამ აკრიფა

სერენა უილიამსი არარეალურ ფორმაშია

ალექსანდრე ასათიანი

სერენა უილიამსმა ვერა ზვონარევას თავი დაუქნია, რუსს მოთელვის დროს გადავარდნილი ბურთი მიაწოდა და მერე შეუბერა. ამერიკელმა ისეირნა, ბალახზე სწრაფი აგრესიით დაშალა რუსი და 6:1, 6:0 დასვა. სერენამ გემოვნებით, კლასით, უკეთესი მოტივაციით და კიდევ ბევრი სხვა ნიუანსით შეუსრულა პატარა ვერას. ზვონარევა კარგია. სერენა - უილიამსი. რუსის შემდეგ უკვე მეოთხედფინალია.

სერენა ტუნრირის მეოთხე ნომერია. სიმბოლური თემაა. უილიამსმა ზვონარევას ცუდად მოუგო. ამერიკელი ტერმინატორი იყო, ვერა - დაჭრილი სარა კონორი, გადარჩენის პერსპექტივის გარეშე. ზვონარევამ აიღო ერთი გეიმი და ვერა თამაშის დაწყებამდე ზედმეტი იყო. ამ უილიამსთან ყველა ზედმეტია. სერენა დღეს არარეალურად თამაშობს.

სეანსი 51 წუთში დამთავრდა. ცენტრალურ კორტზე ლეგენდა და კარგი რუსი გავიდნენ. ცენტრალურ კორტზე ცუდი რუსი დარჩა. კარგი ამერიკელი კლინტ ისტვუდივით გამომწვევად სეირნობს ოლიმპიურ ტერასაზე და კიდევ ერთი ტესტისთვის ემზადება.

ზვონარევა კარგი გოგოა. პირველ სამეულში იჯდა, პირველი ათეულის მრავალწლიანი ვიზა ჰქონდა აღებული. ზვონარევა ჩოგბურთში პოპულარული პერსონაჟია და ვერა სერენასთან მაგრად გაილახა. სხვა დონეა. ხდება ხოლმე. და ეს ნორმალურია. ვერა წინა ოლიმპიადაზე მესამეზე გადის და რუსეთის ოლიმპიურ ყულაბაში ერთ მედალს უშვებს. მაშინ ერთეულებში ელენა დემენტიევა გახდა ჩემპიონი. საინტერესო ტურნირი იყო. რეალურად კარგი.

სერენა ოლიმპიადაზე ორჯერ (2000, 2008) იღებს ოსკარს. ორჯერვე წყვილებში. დაიკოსთან, ვენუსთან ერთად. თუ უილიამსი ერთეულების გარჩევებს მოიგებს, სერენა შტეფი გრაფის რეკორდს გაიმეორებს. შტეფის დიდი სლემის ყველა ტურნირი და ოლიმპიადის ერთეულების მედალი აქვს აღებული.

შემდეგ წრეში სერენა კაროლინ ვოზნიაცკის ან დანიელა ჰანტუხოვას გატესტავს.

მარკ როსეს ოლიმპიადა

ზურაბ თალაკვაძე

ბარსელონაში ლარი ბერდი ისვენებდა, ჯენიფერ კაპრიატი სხვისი კანისგან მარაოს იკერავდა, ესპანეთი კალათბურთის როლინგებზე დადიოდა და ოლიმპიადა დაგვამახსოვრდა. უფრო სწორად, ვინც უყურა, იმას უთუოდ დაამახსოვრდა. იქვე რაღაც სხვა პატარა მუღამები იყო და ესპანური ამბები დღესაც კარგი გასახსენებელია. იქვე, ბარსელონაში, მარკ როსემ ოქროს მედალი მოიპარა. მაღალი ბიჭი იგებს ოლიმპიადას და როსემ ბევრი ფავორიტი გადახსნა. მარკ როსემ შვეიცარიას ოლიმპიური ოქრო აჩუქა. მარკი ახსოვს როჯერ ფედერერს. მარკი ჩვენც გვახსოვს.

გრუნტზე სერიოზული ბანდა ჩავიდა. პირველ თექვსმეტ განთესილში იყვნენ - 1. ბეისბოლისტი და შეთავსებით ჩოგბურთელი ჯიმ კურიე; 2. ელეგანტური შვედი სტეფან ედბერგი; 3. ტრანსფორმერი პიტ სამპრასი; 4. ხორვატი ძველი ბიჭი გორან ივანიშევიჩი; 5. ლიფტში სექსზე სადოქტოროს ავტორი ბორის ბეკერი; 6. პატარა ონავარი მაიკლ ჩანგი; 7. პიერ კარდენის მოდელი გი ფორჟე; 8. ჩემი ფავორიტი მიხაელ შტიხი; 9. ჭორფლიანი სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირა; 10. ავსტრიელი კულტურისტი ტომას მუსტერი; 11. ესპანელი მუსტერი, სერხი ბრუგერა; 12. გრუნტზე გრუნტით გაცვეთილი ემილიო სანჩესი; 13. რუსი ანდრეი ჩერკასოვი; 14. მისტერ შალომი, ამოს მანსდორფი; 15. იაკობ ჰლასეკი შვეიცარიიდან; 16. ლოკალური ტიპი ხორდი არეზე. როსე განთესილებში არ ზის და მარკმა თავისი მაჩეტედან კანის ნაფცქვენები ჩამოყარა. დენი ტრეხო ისვენებს. ბარსელონაში როსეს 201 სანტიმეტრი პოპულარული იყო.

როსე პირველ წრეში ზარმაც მაროკოელ ქარიმ ალამიზე გადის. მარკი იღებს პირველ სეტს 6:2, ტოვებს მეორეს 4:6. მესამე სეტში ალამი აილეწა და როსეს მეორე წრის ვიზა ჩაურტყეს. მარკმა პროცესში მარჯვენა მაჯა იტკინა. დაეცა, გრუნტში ცხვირით დაერჭო. ცუდი იყო. როსემ სეტ-ნახევარში ოცი ეისი დაუშვა. Game, set, matchRosset.

მეორე წრე - უეინ ფერეირა ნელ კორტზე ნელია. უეინ ფერეირა სწრაფ კორტზეც ნელია და ნელსონ მანდელას ფავორიტი პიტ სამპრასს ყველა კორტზე უგებდა. მარკთან ფოკუსი არ გავიდა. როსემ უეინი მუხლებზე დააყენა და ტუჩებში სველი პირსახოცი ურტყა. 6:4, 6:0, 6:2.

მესამე წრე - რეიტინგის პირველი ნომერი, როლან გაროს ბოსი, ჩოგბურთის ბარი ბონდსი, მისტერ ჯიმ კურიე. როსეს არ მოეწონა, რომ კურიესაც ჟღალი წვერი და თმა ჰქონდა. როსეს არ მოეწონა, რომ კურიემ ბრეიქი გაუკეთა. როსემ პირველი ნომერი 6:4,6:2, 6:1 გალახა.

მეოთხედფინალში მოდის ემილიო სანჩესი. დღეს სანჩესის თამაშს ნიკოლას ალმაგრო თამაშობს. მოძრავი, ცოტა ერთფეროვანი, ბულტერიერის სიჯიუტით და ხავიერ ბარდემის თვალებით. როსემ სანჩესს თვალებში არ შეხედა, თავისუფლად დაიწყო და დაღლილ ესპანელს ოთხ საათში გაროტა წაუჭირა. როსემ ოქმში 6:4, 7:6 (2), 3:6, 7:6 (9) დატოვა.

ოთხთა ფინალი. მარკი, გორან ივანიშევიჩი, ხორდი არეზე და ანდრეი ჩერკასოვი. ცოტა ჭრელი, ცოტა მოულოდნელი პერსონაჟები. ნახევარფინალი ბრუგერას, მუსტერის, კურიეს, ბეკერის, სამპრასის, შტიხის, ნახევარფინალი ფავორიტების გარეშე. როსე გორანზე გადის. მაღალი (როსეს 201 და გორანის 193 სანტიმეტრი) და კომპაქტური (არეზეს 175 და ჩერკასოვის 180) გარჩევები. როსემ გორანთან 6:3, 7:5, 6:2 გაარტყა. არეზემ ჩერკასოვს 6:4, 7:6 (4), 3:6, 6:3 გაუკეთა. გაუგებარ ფინალში ორი გაუგებარი ექსპონატი შევიდა. ბაჯბაჯა როსე და სპაიდერმენის კომიქსების ფანი, სენიორ არეზე.

როსემ ფინალში ბრეიქებით დაუკრა. პირველ ორ სეტში მარკი სოლირებს, გრუნტზე გრუნტის კაცს აწვენს და სახეში სმეშებს უშვებს. არეზეს სახე გადაეხსნა, ხორდის სისხლით გრუნტი უფრო სწრაფი გახდა და როსემ აკრიფა. სწრაფ გრუნტზე როსეც უფრო სწრაფი, ცუდი ბიჭი გახდა. არეზე მზის გამოსვლას ელოდება. მზე სისხლს დააშრობს, კორტი ისევ ნელი გახდება და ხორდის შანსი აქვს. მზე გამოდის და არეზე ნავახას ხსნის. პირველი ორი სეტი მარკმა 7:6 (2), 6:4 აიღო. არეზემ "დავი" თქვა და გაადავა - 6:3, 6:4. ბოლო, მეხუთე სეტზე, როსეს ავტოგრაფი რჩება, 8:6. გასაუბრება დამთავრდა. როსე ოლიმპიური ჩემპიონია. ეს ადრე იყო.

ოლიმპიური ჩემპიონი მარკ როსე

მარკ როსეს ნორმალური კარიერა ჰქონდა.

ჰლასეკთან ერთად მარკმა იმ სეზონში მოხსნა ჯეკპოტი როლან გაროზე. შვეიცარია გადის ფინალში და ფინალს იგებს. როსეს აგრესიით და ჰლასეკის ინტელექტით შვეიცარიამ დევიდ ადამსის და ანდრეი ოლხოვსკის წყვილს ყური სამ სეტში (7:6, 6:7, 7:5) აუწია. იმ სეზონში შვეიცარია ინერციით და როსეს ეისებით დევისის თასის ფინალამდე მიდის. იქ ამერიკამ ამერიკულად შეუბერა და როლექსის ბანდა დაასვენა. როსემ ხუთ სეტში კურიეს შემოარტყა. შვეიცარიას ის არ ეყო. როსემ კარგი სეზონი 42 მოგებით, 27 წაგებით და რეიტინგში ოცდამეთხუთმეტე ადგილით დახურა. მარკმა ამერიკელებთან ფინალამდე მოსკოვში კრემლის თასი ააგდო. ფინალში როსემ კარლ-უვე შტეებს მხოლოდ 4 ეისი დაუსვა და მაინც მშვიდად 6:2, 6:2 დასვა.

დიდი ხნის მერე მარკმა დევისის თასზე ბლოკბასტერში ქასთინგი გაიარა და არნო კლემანთან მეხუთე სეტი 13:15 წააგო. საშინელი თამაში იყო. 346 წუთში ფრანგმა ფლეში გაშალა. როსემ იმ სეზონში პირველი ასეულის ვიზა დაკარგა და ჩელენჯერებზე ისვენებდა.

როსემ როჯერ ფედერერთან ოთხჯერ ითამაშა. 2000 წელს მარსელის ფინალი მარკმა 2:6, 6:3, 7:6 (5) აიღო. შემდეგი VSლონდონში, მეოთხედფინალში. ეკლერი ისევ როსეს დარჩა - 3:6, 6:4, 6:4. შემდეგი ორი ტესტი ფედერერმა ჩააბარა - 2001, სიდნეი, 6:1, 6:2 და 2003, ბაზელი, 6:1, 6:3.

მარკი მაღალი ბიჭი, ერუდირებული პერსონა და კარგი მეგობარი იყო. მეგობრობს ირაკლი ლაბაძესთან, მარატ საფინთან, ანდრე აგასისთან, მანსურ ბაჰრამისთან.მეგობრობდაბორის ელცინთან. როსემ კარიერა ერთეულებში მოგებული 15 ფინალით დახურა. რესპექტაბელურია.

მარკი ერთხელ ერთეულებში მეცხრე იყო. რესპექტაბელურია. როსე წყვილებში ერთხელ მერვე იყო. მოგებული აქვს ფინალი ბალახზე, გრუნტზე, ჰარდსა და ხალიჩაზე. როსე ორმეტრიანი უნივერსალი და კარგი მეგობარია. მარკმა კორტზე თითქმის შვიდი მილიონი დოლარი დაირტყა. ჯიბის ფული.

როსე 14 წლის წინ ვიწრო ბილიკზე დააყენეს. მერე ვიღაცას მარკი არ მოეწონა და იმ ბილიკზე სხვა დადგა. იმ ბილიკიდან იყო რეისი SwissairFlight 111. თვითმფრინავი ატლანტისოკეანეშიჩავარდა. მგზავრებიოკეანემდაიტოვა. მარკი-გადარჩა.

1992. ოლიმპიადაზე, ბარსელონაში, ლარი ბერდი ისვენებდა, კოლუმბის მონუმენტიდან ბარსელონას უყურებდა. ჯენიფერ კაპრიატი სხვისი კანისგან მარაოს იკერავდა და ჯენი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა - ფინალში შტეფი გრაფიდაამარცხა. მთელი ესპანეთი კალათბურთის როლინგებზე დადიოდა და ოლიმპიადა დაგვამახსოვრდა. უფრო სწორად, ვინც უყურა, იმას უთუოდ დაამახსოვრდა. იქვე რაღაც სხვა პატარა მუღამები იყო და ესპანური ამბები დღესაც კარგი გასახსენებელია. იქვე, ბარსელონაში, მარკ როსემ ოქროს მედალი მოიპარა. მაღალი ბიჭი იგებს ოლიმპიადას და როსემ ბევრი ფავორიტი გადახსნა. მარკ როსემ შვეიცარიას ოლიმპიური ოქრო აჩუქა. მარკი ახსოვს როჯერ ფედერერს. მარკი ჩვენც გვახსოვს.

ნაცნობი კვიპროსელები და ქეცბაიას რჩევები

სოსო კოტორეიშვილი

სპორტის ქართველ გულშემატკივართა ყურადღება ლონდონის ოლიმპიური თამაშებისკენ კია მიპყრობილი, მაგრამ ევროთასებს შემორჩენილი ერთადერთი ქართული გუნდის, გორის "დილას" დღეს გასამართ მატჩს, ცხადია, ინტერესი არ მოაკლდება. შეგახსენებთ, რომ გორელები "მიხეილ მესხის" სტადიონზე ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში კვიპროსულ "ანორთოსისს" უმასპინძლებენ.

დანიურ "ორჰუსთან" გამარჯვების შემდეგ თემურ შალამბერიძემ ფეხბურთელები ერთი დღით დაასვენა, მერე საგურამოს ბაზაზე ორჯერ ავარჯიშა, საიდანაც "დილამ" საქართველოს ნაკრების ბაზაზე გადაინაცვლა, დღეს საღამოს კი "მიხეილ მესხზე" ივარჯიშა.

კვიპროსის "ანორთოსისი" დღეს დილით ჩამოფრინდა თბილისში. ფამაგუსტელთა ებრაელმა მწვრთნელმა რონი ლევიმ მატჩისთვის 19 ფეხბურთელი ჩამოიყვანა.

მეკარეები: ბლაჟიჩი, მასტროუ, კონსტანტინუ;

მცველები: ილიჩი, ანდიჩი, პაულუ ჟორჟე, კოლინი, ბონავენტურა სიელისი;

ნახევარმცველები: სპადაჩიო, ალექსა, ლაბორდე, ლაბანი, ოჰაიონი;

თავდამსხმელები: კალვო, რეზეკი, რონკატო, იულა, ოკასი.

"ანორთოსისი" დანაკლისის გარეშეა, გუნდს ყველა უძლიერესი ფეხბურთელი თბილისში ჰყავს.

"ანორთოსისი" ჩვენთვის ნაცნობი კლუბია, შარშან "გაგრა" გამოთიშა ევროპის ლიგის II საკვალიფიკაციოდან, როცა ლარნაკაში 3:0 სძლია, საქართველოში კი 0:2 წააგო.

"ანორთოსისი" ფამაგუსტას გუნდია, მაგრამ საშინაო შეხვედრებს ლარნაკაში, "ანტონის პაპადოპულოსზე" ატარებს. ფამაგუსტა კვიპროსის იმ რეგიონშია, სადაც თურქული სექტორია. ხშირად ამ კლუბს "ლტოლვილებს" უწოდებენ, თუმცა, უფრო მჭექარე მეტსახელიც აქვთ - "იუვენტუსის" მსგავსად, ხშირად "ბებერ ქალბატონად" მოიხსენიებენ.

თემურ ქეცბაია - კაცი, რომელიც აუცილებლად უნდა ახსენო, როცა "ანორთოსისზე" წერ. საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი "ანორთოსისის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი და რჩეული მწვრთნელია. სწორედ მისი თავკაცობისას მიაღწია "ანორთოსისმა" მანამდე არნახულ შედეგს: ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა.

"ანორთოსისი" კვიპროსის 13-გზის ჩემპიონია, 10-ჯერ მოუგია თასი, სუპერთასი კი - 7-ჯერ. ბოლო ტიტული 2008 წელს მოიპოვა: ქეცბაიას მწვრთნელობისას ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ ფამაგუსტელები სულ ლიდერებს შორის ტრიალებენ, თუმცა... გასულ სეზონში გუნდმა მე-4 ადგილი დაიკავა ჩემპიონატში.

აქვე ვთქვათ გიორგი ქინქლაძეზე, რომელიც 9 თვის განმავლობაში გახლდათ "ანორთოსისის" სპორტული დირექტორი. მასთან მაისში ორმხრივი შეთანხმებით გაწყდა ხელშეკრულება.

როგორია დღევანდელი "ანორთოსისი"? როგორც უკვე ვთქვით, გუნდს წვრთნის ებრაელი რონი ლევი, რომელმაც შარშან სექტემბერში შეცვალა ბულგარელი სტანიმირ სტოილოვი. "ანორთოსისმა" ევროპის ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე იოლად სძლია ესტონურ "ლევადიას".

კვიპროსელები მათე ვაწაძეს უფრთხიან

"ანორთოსისი" საკმაოდ "შეფერადებული" გუნდია. ამ დროისთვის 14 ლეგიონერი ჰყავთ. რაც შეეხება ოპტიმალურ სასტარტო შემადგენლობას, მასში მხოლოდ ერთი კვიპროსელია - 35 წლის იოანის ოკასი, რომელიც გუნდის კაპიტანიც გახლავთ. ოკასს საბერძნეთის საუკეთესო კლუბებში, ასევე ესპანურ "სელტაშიც" უთამაშია.

გუნდის ვარსკვლავია კოლუმბიელი შემტევი ნახევარმცველი რიკარდო ლაბორდე. 24 წლისაა და მასზე ევროპის გაცილებით სახელიან კლუბებს უჭირავთ თვალი. გამორჩეულია ესპანელი გარემარბი ტონი კალვოც, რომელიც "ბარსელონას" აღზრდილი გახლავთ. "ანორთოსისს" კარგი შემადგენლობა რომ ჰყავს, აქედანაც ჩანს - ჩეხეთის ნაკრების ფორვარდი იან რეზეკი უფრო ხშირად შეცვლებზე შედის.

გასული სეზონის მეორე ნახევარში "ანორთოსისის" მარცხენა ფლანგზე თამაშობდა დავით კვირკველია, რომელიც ახლა "დილაშია" - ესეც დამატებითი სტიმული კვირკველიასთვის.

"ვფიქრობ, თუ "ანორთოსისი" მეტოქეს სათანადოდ არ დააფასებს, დაისჯება. "დილასა" და "ორჰუსის" ორივე დაპირისპირება ვნახე. "დილა" რეკორდულად მოკლე დროში აწყობილი გუნდია, ექვსთვიან პერიოდში 10 ფეხბურთელი აიყვანა რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან. მოიგეს საქართველოს თასი. მათ ძალიან კარგი მატჩები ჩაატარეს", - ეს თემურ ქეცბაიას სიტყვებია, რომელიც კვიპროსულ გამოცემებთან საუბარში თქვა.

"დილას" ფეხბურთელები საკმაოდ გამოცდილნი არიან, უთამაშიათ სანაკრებო დონეზე. უშუალოდ "დილას" ევროტურნირების გამოცდილება არა აქვს, მაგრამ, ვიმეორებ, ჰყავთ ძლიერი მოთამაშეები. საკმაოდ ძლიერია დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზი".

ქეცბაიამ აღნიშნა, რომ "დილა" თავიდან არც "ორჰუსთან" იყო ფავორიტი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ ორივე მატჩში დაემარცხებინა.

აქვე დავით კვირკველიას კომენტარი: "მიმაჩნია, რომ ჩემი ყოფილი გუნდი "ორჰუსზე" არანაკლებ ძლიერია. "ანორთოსისში" ნახევარი სეზონი ვითამაშე და კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები. "ანორთოსისი" შეტევაში კარგად თამაშობს, სამი-ოთხი ინდივიდუალური ძლიერი მოთამაშე ჰყავთ და ისეთი გუნდია, შეცდომას არ გაპატიებს. ამიტომ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სერიოზული მობილიზება დაგვჭირდება", - ამბობს კვირკველია.

"დილა" - "ორჰუსის" მატჩს კვიპროსელთა მეორე მწვრთნელი სიმუს კარაპულილისი დაესწრო და მეტოქის შესაძლებლობებიც შეაფასა: "დილა" გაცილებით ძლიერი გუნდია, ვიდრე "ორჰუსი", ვაწაძე კი ექსტრაკლასის ფორვარდი და გუნდში საუკეთესო ფეხბურთელია. მომეწონა კახა ალადაშვილი და გოგიტა გოგუა. "დილასთან" მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიწევს."

დღევანდელი შეხვედრა 20:00 საათზე დაიწყება და მას ნორვეგიელი მსაჯები მოემსახურებიან.